საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 8 ოქტომბერი, 2013 წელი.

№193 (7320)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ტყუილად გაქვს იმედი, რომ ამომრჩეველი, რომ ახალი პრეზიდენტი ხელებს დაიკაპიწებს და ქვეყანას



③ დაალაგებს!

ვილაცამ ოთხი (გუ)გულის ბუდეს გადაუფრინა

④

მოქალაქის წინადადება

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს, საქართველოს პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს და საქართველოს მოქალაქეებს

მე, როგორც მოქალაქე და როგორც სახელმწიფო და მეცნიერული მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე პიროვნება, თავს მოვალედ ვთვლი თქვენს წინაშე განსახილველად და სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად შემოვიდე შემდეგი წინადადებებით:

1. საქართველოს კანონმდებლობაში ჩაიწეროს, რომ მინისტრების პოსტებზე უნდა დაინიშნონ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი პროფესიონალები და გამოცდილების მქონენი, რომელთაც შესაბამისი დარგების მიხედვით ექნებათ უმაღლესი განათლება და ხელმძღვანელ თანამდებობებზე, სულ ცოტა, 10 წლის მუშაობის გამოცდილება.

2. საქართველოს პარლამენტის დეპუტატებად არჩეულ იქნან საქართველოს არაუმცირეს 30 წლის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, საქართველოში ცხოვრობენ ათი წელი და არიან კანონმდებლობის ან მისი მომიჯნავე სპეციალობების მქონენი.

ალექსანდრე კუჭუხიძე,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი.



გიგი უგულავა ⑥ ვისი ფულებით იგულავა?!.

„ტოლი ნახე, კოჭი გააგორე!“

საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს, დევნისგან იმუნიტეტი მიიღოს ⑧

აფხაზეთის თავზე ⑨ ცა იქუფრება!..

„გმირი“ ოკუპანტი — ოლიმპიური ⑩ ჩირაღდნით ხელში

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მთავარია, აკონტროლო ტელევიზია!..

მთა მივიდა მუჰამედთან, ანუ მედია — ივანიშვილთან. — ამ ჰიპერბოლაში პროპორცია დაცულია: ივანიშვილი ისევეა მუჰამედი, როგორც ქართული მედია არის იმათი ერთობლიობა, ვინც პრემიერმა ბიზნესცენტრში ისტუმრა.

იმავე საღამოს ნინო ჟიჟილაშვილის „პოლიტმეტრი“, რა თქმა უნდა, ამ თემას დაეთმო. ფეისბუქით ოთხი კომენტარი გავაგზავნე, მაგრამ ერთიც არ გამოაჩინეს. ყველაზე კრიტიკული ეს იყო: „უბედურება ისაა, რომ პრემიერსა და მის მრჩევლებს ჟურნალისტები ესენი ჰგონიათ.“

იქ იყვნენ ჟურნალისტები?!

მოგვიანებით ფეისბუქში გაცილებით უარესი შეფასება წავიკითხე: „იქ ჟურნალისტები არ ყოფილან! იქ იყვნენ ინტრიგანები და„ კლიაუზნიკები!“ თანაც ძალიან პრიმიტიულები!“ (ლულუ უსტიაშვილი).

დარწმუნებული ვარ, ქალბატონი ლულუ შეხვედრის ყველა მონაწილეს არ გულისხმობდა, მაგრამ სურათი რომ მართლაც მძიმე იყო, ეს უდავოა.

დავიწყოთ იმით, რომ პრემიერმა მხოლოდ ტელეჟურნალისტები მიიწვია.ეტყობა, ყველა ხელისუფლება ერთმანეთს ჰგავს, თორემ არა მგონია,ან მას, ან მის მრჩევლებს, ან შეხვედრის რომელიმე მონაწილეს წაკითხული ჰქონდეთ უმბერტო ეკოს ის სტატია, სადაც ამბობს, **ზოგიერთებს ბერლუსკონი სულელი ჰგონიათ, სინამდვილეში კი ასე სულაც არ არისო.** ეკოს ასეთი არგუმენტი აქვს: **„ბერლუსკონიმ იცის, რომ მთავარია, აკონტროლო ტელევიზია. პრესამ რაც უნდა, წეროს.“**

ივანიშვილის შემთხვევაში, ეს აზრი შეგვიძლია, ასე გარდავთქვათ: „მთავარია, ყური აუწიო ტელეჟურნალისტებს...“

არ ვიცი, მართლა ჰქონდა თუ არა პრემიერს ამგვარი განზრახვა, ის კი აშკარაა, რომ პირიქით გამოუვიდა: გუშინწინ მან ზოგიერთი ჟურნალისტი მკვდრეთითაც კი აღადგინა. ხომ ფაქტია, რომ ინგა გრიგოლია, ამის გამო, გულწრფელ სიხარულს ვერ მალავდა. რაც ივანიშვილმა დააკლო, ჟიჟილაშვილმა შეავსო: ეკა კვესიტაძეს ისეთი ტრიბუნა მისცა, ოცნებაშიც რომ ვერ წარმოიდგენდა. მასაც მეტი რა უნდოდა, ისე ლაპარაკობდა თავისუფალი სიტყვის დევნაზე, ისე ახსენებდა კანტსა და ნიცშეს, თითქოს მათი თხზულებები გადაბულბულებული ჰქონდეს და, რაც მთავარია,თითქოს ყოველ დილით უტიაშვილის სახლიდან არ გამოდიოდეს...

სიტყვამ მოიტანა და ჩვენი „წამყვანი ჟურნალისტების“ ქმრებზე აუცილებლად უნდა ვთქვათ: სრულიად გაუგებარია ბოკერიას ცოლის ლოგიკა — ჩემს მეუღლეზე ჩემს მეუღლეს ესაუბრეთო. მისი მეუღლე სააკაშვილის კრიმინალური ხელისუფლების ერთერთი ბურჯი რომ არ იყოს, მასზე საერთოდაც რატომ ვისაუბრებდით?! ვითომ ასე ადვილად აიცილებენ პასუხისმგებლობას ძვირფასი თანამეცხედრეები, რომლებიც ქმრების მდგომარეობით სინდისის შეუწუხებლად სარგებლობდნენ?!

რაც მთავარია, უხერხულია (მეტი რომ არ ვთქვათ), ბოკერიასა და უტიაშვილის მეუღლეები ვინმეს ფაშისტობაზე გველაპარაკებოდნენ.

იმ „ორი რამის“ გარდა, კანტს მათი უტიფრობაც უთუოდ გააოცებდა...

ლოგიკური ის იქნება, თუ აქვე ერთ საკითხსაც დავსვამთ: ე.წ. ..ფსიხო“ მხოლოდ მძღოლებს კი არა, ჟურნალისტებსაც უნდა მოვთხოვოთ. მაშინ გასაგები გახდება, ზოგი რატომ გვიყვირის, ზოგიც გაწიწმატებული რატომ გვესაუბრება...

ბატონ ბიძინას, ალბათ, ეგონა, ჟურნალისტური ელიტა შევკრიბეო.

ალბათ, მის მრჩევლებსაც ასე ეგონათ.

კიდევ რამდენიმე „ელიტარი“ (ნანუკა, ეკა, მაია...) და სრული ბომონდიც გამოვიდოდა.

ღირსეული ჟურნალისტები კი ჩრდილში არიან და საქმეს უხმაუროდ აკეთებენ, ან საერთოდ ვერ აკეთებენ, რადგან ამის შესაძლებლობა წართმეული აქვთ...

ჯერ კიდევ როდის დაამტკიცა სულგანათლებულმა თეიმურაზ მეტრეველმა, რომ ჩვენი უცნობილესი ტელეგამძღოლები წერაკითხვასთან მწყრალად არიან. რასაც ესენი ლაპარაკობენ, ის რომ გავშიფროთ და გამოვაქვეყნოთ, თავზარდამცემ სურათს მივიღებთ. მაგალითად, თითქმის არასოდეს მომისმენია ეკა ხოფერიასგან ბოლომდე გამართული, ჩამოყალიბებული აზრი, შეკითხვა, უბრალოდ, დასრულებული წინადადება. წამყვანმა „წამყვანებმა“ ისიც კი არ იციან, რომ „ასეთი“ უნდა თქვა და არა „ესეთი“, „ახლა“ და არა „ეხლა“. მერე რა, ლუარსაბის თქმისა არ იყოს, იმიტომაც არ არიან მთელი ცხოვრება „წამყვანები“?! იმიტომაც ვერ იცვლიან ცხვირსახოცივით ქმრებს, საყვარლებს, პარტიებს, არხებს... იმიტომაც არ ეძახიან პრემიერთან შეხვედრაზე...

პრემიერს კი ისინი ყველაზე წარჩინებული ჟურნალისტები ჰგონია, რა თქმა უნდა, ელისო ჩაფიძის შემდეგ (და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხალხში ასეთი ხუმრობაც გაჩნდება: „განვლილ ერთ წელიწადში ყველაზე დიდი მიღწევა ელისოს გათხოვებაა“).

მათაც შეიფერეს ასეთი „სტატუსი“ და მამაცურად შეუტიეს პრემიერს. ალბათ, ესეც იფიძრეს, ექსპერტებზე ნაკლები რით ვართო. მათ შემხედვარეს, უამრავ ადამიანს გაუჩნდა სრულიად ლოგიკური კითხვა: ასე საპაპაშვილს რატომ არ ელაპარაკებოდნენ?! დაელაპარაკებოდნენ და... მერაბიშვილი და ადეიშვილი რისთვის ჰყავდა?!

კარგად თქვა ალექსანდრე ელისაშვილმა — კი, ბევრი რამ არ მომეწონა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ვიცი, შეხვედრიდან გამოსულს არავინ დამხვდება, მანქანაში არ ჩამტენის, ნარკოტიკს არ ჩამიდებს და ციხეში არ ჩამსვამსო...

ამის დაფასებაც უნდა შეგვეძლოს...

მაშინ, ალბათ, ფეისბუქში აღარ წავიკითხავთ ასეთ გულისმომკვლელ ფრაზას: „იქ არ ყოფილან ჟურნალისტები“...

იოსებ ჯუმბურიძე

◎ ინფორმაცია

ნინო ბურჯანაძემ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია გამართა

ბურჯანაძემ პარტიის მიერ მომზადებული დოკუმენტი მედიას, არასამთავრობო სექტორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში „ წარუდგინა.

როგორც პრეზენტაციის შემდეგ ჟურნალისტებს პრეზიდენტობის კანდიდატმა განუცხადა, საარჩევნო პროგრამისადმი ექსპერტებმა პოზიტიური შეფასებები გამოთქვეს.

— დადებითი და პოზიტიური შეფასებები მოჰყვა ჩვენს პროგრამას ექსპერტების მხრიდან. მართლა მაღალი შეფასება მისცეს დოკუმენტს და ქვეყნის წინსვლის პროგრამაც კი უწოდეს, რაც მოიცავს ქვეყნის განვითარების ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით. აქ არის ძალიან ნათლად ჩამოყალიბებული, თუ რა შედეგი შეიძლება იქნეს კომპეტენტური და სწორი მართვის შედეგად მიღწეული ქვეყანაში, რა პრობლემები უნდა მოგვარდეს როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე, რათა ქვეყანა გახდეს საერთაშორისო სამართლის ობიექტი და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი; უზრუნველყოს საკუთარი ინტერესების განხორციელება, უპირველესად გამთლიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; ეროვნული იდეის უზრუნველყოფა და ამ იდეით ქვეყნის განვითარება, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

სოსო ცისკარიშვილს საარჩევნო პროგრამა მოსწონს

— ყოვლისმომცველი მოხსენება მოვისმინეთ პრეზიდენტობის კანდიდატის მხრიდან. პრობლემების იმდენად ფართო სპექტრია მასში წარმოდგენილი, რომ ვფიქრობ, ასეთი დოკუმენტი მომავალ პრემიერ-მინისტრს უფრო გამოადგებოდა სამაგიდო წიგნად, ვინაიდან, ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტის უფლებამოსილება შეზღუდულია და ვფიქრობ, კანდიდატი ვერ შეძლებს ყველა იმ საკითხის მოგვარებას, რაც პროგრამაშია წარმოდგენილი, — განაცხადა პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა „დემოკრატიული მოძრაობის „პრეზიდენტობის კანდიდატის, ნინო ბურჯანაძის საარჩევნო პროგრამის გაცნობისას.

მისივე შეფასებით, თუ ახალ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის თანამშრომლობა არ იარსებებს, ბევრი საინტერესო ინიციატივა დარჩება ყურადღების მიღმა.

მარგველაშვილს დებატებში იწვევს

როგორც ბურჯანაძემ „შერატონ მეტეხი პალასში „ საკუთარი პროგრამის პრეზენტაციისას განაცხადა, აუცილებელია პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის დებატების გამართვა, რათა ხალხს სწორი არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდეს.

— აუცილებელია ჩატარდეს დებატები ძირითად საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის. აუცილებელია საზოგადოებამ მათი აზრთა და პროგრამების ჭიდილი მოისმინოს. სწორედ ამიტომ გიორგი მარგველაშვილს ვიწვევ დებატებში და ველოდები მის გამოხმაურებას, იმედია, დებატები მალე შედგება, რათა მოსახლეობამ შეძლოს სწორი არჩევანის გაკეთება, — განაცახდა ნინო ბურჯანაძემ.

ბედუკაძე პრეზიდენტს უჩივის, სასამართლო სარჩელს არ ღებულობს

ე.წ. ციხის კადრების ავტორი ვლადიმერ ბედუკაძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან იმ ინფორმაციის უარყოფას ითხოვს, რომელიც მან ციხის კადრების გაყიდვასთან დაკავშირებით გაავრცელა.

როგორც ვლადიმერ ბედუკაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრის დროს თქვა, რომ დანამდვილებით იცის ციხის კადრების გავრცელებში ბედუკაძემ 2 მილიონი ლარი აიღო.

— პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა, რომ კადრები გაყიდულია. ამ განცხადების გაკეთებიდან 6 თვე გავიდა და მიხეილ სააკაშვილმა ვერ წარადგინა თავისი სიტყვების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2-ჯერ მივმართე სარჩელით, რომ პრეზიდენტს თავისი ნათქვამი სიტყვები მტკიცებულებებით გაეყარებინა, თუმცა, სასამართლომ სარჩელის მიღებაზე უარი მითხრა, — განაცხადა ბედუკაძემ.

მისივე თქმით, კუბლაშვილის სასამართლოს პირობებში შეუძლებელია სამართლიანობის მიღწევა.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ამეშალა ნერვები, აშლილია გიტარა, ასე იცის ოცნების ნაცებამდე მიტანამ.

● საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი საზღვარგარეთ, ოფიციალურ მიღებებზე, მწვანე „პრავიზონკით“ რატომ დაიარება?

● სახელმწიფო დროშის შეურაცხყოფაზე არაფერი? თუ სახელმწიფო სიმბოლოების შეურაცხყოფაზე სისხლის სამართლის კოდექსი მარტო ჩვენზე, უბრალო მოკვდავებზე ვრცელდება?

● დროშაა თუ დამა გული?

● მარეკები შლიდნენ ბანაკს, ქარი ჩამი-ჩუმით ჰქროდა, ათას სურნელოვან ნაცში, დროშას მიშას სუნი ჰქონდა.

● ქუთაისის „ბიძინაგარეჯში“ საგანელიძე რომელ კელიაშია დაყუდებული? უნდა ვემთხვიო.

● ჰიმნი — „ჩემი გული, შენი გული ჯაჭვით არი გადაბმული“ — იქნება?

● ბაქრაძე სახელს გადაიკეთებს — გულნარა გახდება.

● რიტორიკული კითხვა: რატომ აკეთებს ყველაფერს ოცნება იმისათვის რომ, ნაცებმა რეანიმაცია მოახდინონ?

● პროგრამა „საქართველო ქართველების გარეშე“ წარმატებით ხორციელდება.

● თუ კარგი ქვეყანა გვინდა, არავისტები აღარ უნდა ვიყოთ (მოკლედ, დღეს ძალიან დაბრძენებულმა გავიღვიძე.

● „იმედმა“ ახლა სთქვა, ქართულმა მხარემ რუსული თვითმვრინავი ჩამოაგდო, მაგრამ მფრინავმა მოახერხა და თავის ბაზაზე მაინც დასვა თვითმფრინავიო. რას არ გაიგებს კაცი!

● ეს გადასულ-გადმოსულები სად წავლენ ისევ თუ დასჭირდათ „გადაპორტირება“? ყველამ ხომ ყველაფერი იცის უკვე!

● სტატისტიკის დეპარტამენტის ბოლო კვირის მონაცემით: ათი ახლადშობილიდან, 4,5 ბავშვს ნინო დაარქვეს, 4,5-ს — გიორგი, მხოლოდ — 0,5-ს მიშა!

● — მეორე ტურში? — ყვიროდა ყველაზე მყვირალა კოჭლი იხვი მსოფლიოში. — რატომ მხოლოდ მეორეში? ჩვენ მესამეშიც გავალთ და თუ დაგვჭირდება — მეოთხეშიც. არც ერთი ტური არ დარჩება, სადაც ჩვენ ვერ მოვახერხებთ გასვლას. და მერე მთელი მსოფლიო ნახავს, რომ ნაციონალური მოძრაობა უძლეველია. ჩვენ ვიყავით, ვართ და მუდამ ვიქნებით!

და დარბაზში შეკრებილებმა ერთხმად შესძახეს სიმღერა:

„ვენ დი ზოლდატენ, დურჰ დი შტად მარშირენ,
ოფნენ დი მედჰენ დი ფენსტერ უნდ დი ტურენ,
აი ვარუმ? აი დარუმ, აი ვარუმ? აი დარუმ...“

● ეს ხელისუფლება სააკაშვილის დამჭერი არ არის, მაგრამ შესაძლებელია, სააკაშვილის დაჭერაც იყოს იმ სცენარის ნაწილი, რომელიც იგეგმება, რომელსაც ეწოდება ქართველი ერის ტვინის გამორეცხვა. სააკაშვილის დაჭერის ორი ვარიანტია, ერთია მისი დაკავების ინსცენირებაა... ბევრი ასეთი მაგალითი ახსოვს სამხრეთ ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიას, შეიძლება საქართველოშიც ასე მოხდეს. გაითამაშონ სააკაშვილის დაკავების ინსცენირება და ქართველ ხალხს გადაუგდონ „ერთი ბარტყი“, თავის დროზე რაც მოხდა 2003 წელს, მთელი „მოქკავშირი“ დარჩა ხელისუფლებაში, ხოლო შევარდნაძე როგორც ბარტყი გადაუგდეს ქართველ ხალხს, იმაზე კი არავინ დაფიქრებულა, რომ მთელი მისი გუნდი დარჩა ხელისუფლებაში.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

არჩევნები კარს მოგვადგა!

ტყუილად გაქვს იმედი, ჩემო ამომრჩეველო, რომ ახალი პრეზიდენტი ხელებს დაიკაპიწებს და ქვეყანას დაალაგებს!

როგორც იქნა ჩამოიმარცვლა მოლოდინის მძიმე თვეები და ოქტომბრის სამი კინკილა კვირაღა დაგვრჩა მოსათმენი.

მადლობა ღმერთს, რომ გაგვაძლებინა.

ოღონდ უდანაკარგოდ არ მოვსულვართ აქამდე.

სულ ცოტა ის 60 თუ 63 კაცი მაინც ხომ დავკარგეთ, ვისაც საქართველოს პრეზიდენტობის ნდომამ გაუჩუჩუნა გულში (საბოლოოდ 23 კაცი დარჩა ოქროს სიაში).

ეს ისეთი გაჩუჩუნებაა, რომელიც ერთხელ რომ გაგივლის გულ-ბოყვში, მოგჭამა ჭირი, იმას იქიდან ვეღარ მოიცილებ; კიდევ ასი წელი რომ იცოცხლო, შენს და შენი ოჯახის წევრთა გულში მაინც პრეზიდენტობის კანდიდატად დარჩები!

როგორც მაგალითად როინ ლიპარტელიანი, როგორც ქართლოს ღარიბაშვილი...

ერთი ამერიკული ფილმიდან მახსოვს: გაფუყული ჭარმაგი კაცი და მისი ცოლი. ქალბატონი ამაყად უცხადებს გარშემომყოფთ, ჩემი მეუღლე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი იყოო. მერე ცოტა დამორცხვებული ამატებს, მართალია ვეგეტარიანელთა საზოგადოებიდან იყო წამოყენებულიო.

აქედან სულ ცოტა ორი დასკვნა მაინც გამომდინარეობს:

პირველი, ამერიკაშიც კი ყოფილა შესაძლებელი პრეზიდენტობის კანდიდატად როინ ლიპარტელიანის დასახელება შესაბამისი ორგანიზაციიდან.

მეორე, მხოლოდ დასახელებაც კმარა მარადიული კმაყოფილებისთვის, იმ ვეგეტარიანელთა რჩეულივით.

ჩვენი 23 კანდიდატი ერთმანეთისგან მხოლოდ წინასაარჩევნო ჰაი-ჰუითი გამოირჩევიან. ზოგი ერთობ ხალხმრავლად ხმაურობს, ზოგიც ბევრად მოკრძალებულად, თორემ ამბიცია არც ერთს არავისზე ნაკლები არ აქვს, თუმცა საზოგადოება მათს უმრავლესობას არათუ არ იცნობს, საერთოდ მისი გვარიც არ სმენია.

ჰოდა, მოგვდგომია ეს პრეზკანდობის ლეგიონი და ტვინს გვიბურღავს, რომ გაამთლიანებს საქართველოს, რომ ხალხს გადაუწყვეტს ყველა პრობლემას...

დაპირებებში ყველა უხვია, ყველა დაუზარელია, იმაშიც, რომ დღევანდელ ხელისუფლებას უკანალზე უკბინოს, როგორ თუ დაპირებები არ შეასრულაო.

თითქოს ნაცების დაქნევა დაპირებულის 100-პროცენტიანი შესრულება არ იყოს!

რატომ ღმერთი არ გაიცინებს: ის კანდიდატი და მისი წარმომდგენი პარტია იჭაჭებიან ყველაზე მეტად, ვინც ბოლო 9 წელიწადში სულ დედა უტირა ხალხსაც და ქვეყანასაც.

ისტორიაში შესასვლელად თავს არ იზოგავენ ღრმად ჩამაკიაჟებული სახალხო კანდიდატი თუ იმპულსური ლეიბორისტთა რჩეული, ყველაზე მძიმეწონიანი, ტვინი რომ ყურებიდან გადმოსდის, თუ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ბუნების ჭირვეულობით მოხვედრილი, რომელსაც ტვინის არსებობა საერთოდ არ ეტყობა... ეს თავგადადებული ქართველები დაუზარებლად აყენებენ ბუქს ტელეეკრანებზე, ვინ — სხაპასხუპით, ვინ — ენაბრგვილად, ხვდებიან ამომრჩევლებს, ვინ — გადავსებულ დარბაზებში, ვინ — ბუნების წიაღში თითო-ოროლა ცნობისმოყვარეს...

მუშტებს იძნევენ, იმუძრებიან, ირონიულად იცინიან, ხალხის ცოდვით იწვებიან, ხალხის სიხარულით ხარობენ, და ამ დროს უხვად აფრქვევენ სისულელეს, საფლავს უთხრიან ერთმანეთს, ნართაულად მიანიშნებენ, რომ სხვებს თვითონ სჯობიან, რომ ერთადერთი და განუმეორებელი არიან.

სპარტელი პედერატე სახლში გახარებული დაბრუნდა, ჩემს სამშობლოს ჩემზე რჩეული 300 მოძალაძე ჰყოლია, ისინი საბჭოში რომ აირჩიეს და მე არაო.

ვითომ ჩვენი პრეზკანდიდატები ერთი მაინც გაიხარებს, ჩემზე უკეთესი აირჩიესო?

არ დაიჯეროთ! ძვეყანას შეაჯერებს, გააყალბესო, გამარჯვება თვალსა და ხელს შუა ამართვესო. ჩემზე მეტი ხალხს არავინ უნდოდაო.

ისე რომ, 23 კაცში ერთი პედერატეც არ აღმოჩნდება.

პედერატები არ გვყავს, სამწუხაროა რაიც!

სამაგიეროდ დასტობით გვყავს გენიოსი, პოტენციური პრეზიდენტი, პრემიერი, მინისტრი (თანაც ყველა დარგში მოსახმარ-გამოსადეგი!), ერთი სიტყვით, სწორედ ისეა, როგორც მწერალი ამბობს: ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობაო. ანუ ყოველი ნაბიჭვარი და ნაცარქექია პოტენციური პრეზიდენტია.

დიდმა ალბერტ აინშტაინმა უარი თქვა შეთავაზებულ ისრაელის პრეზიდენტობაზე. შეიძლება სწორედ იმ დროს გამოუყო ენა ყველა თანამდებობას დახარბებულს, როგორც მის ცნობილ ფოტოზეა.

დაპირებებს იძლევიან, ქვას გახეთქავს!

მოვალ და სწრაფად დავამყარებ წესრიგს, აღვადგენ სამართლიანობასო, — შუბლში საჩვენებელ თითს გვიმიზნებს ერთი, ანუ მთავარია მოვიდეო, ინაუგურაციამდეც კი არ დავახანებ, უმალ დავეტაკები უწესრიგობას და უსამართლობასო; ნაცებს ციხეებში ჩავყრი, მათგან წართმეულ ქონებას ხალხს დავუბრუნებ,. რუსეთთან ურთიერთობას მოვაწესრიგებო...

მეორე გვაიმედებს, კოჰაბიტაციას ბოლოს მოვუღებო, მესამე — მე ვიქნები არა ერთი პარტიის, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის პრეზიდენტი, ერთად ვაკონტროლოთ მთავრობაო;, მეოთხე — ქვეყანას ტრადიციებით ევროპისკენ გავუძღვებიო; მეხუთე — ამერიკისა და რუსეთის პოტენციალებს გავაერთიანებ ერთიანი ძალებით საქართველოს ასაშენებლადო; მეექვსე — პენსიების, სოციალური დახმარებების გაზრდას, იპოთეკართა პრობლემის მოგვარებას აწვება; მეშვიდე — გვახსენებს, ჩვენი სახელმწიფო ჩვენი ოჯახიაო; მერვე იჭაჭება — დემოკრატია არა პოლიტიკური ელიტისთვის, არამედ ხალხისთვის მინდაო, მეცხრე...

მოკლედ, ვინც რა მოიფიქრა, ის ღერი გამოაძრო ლოზუნგ-სატყუარების საარჩევნო საყადლიდან.

ოღონდ სწორედ სელაპი უნდა იყო, რომ გაბრიყვდე და რომელიმეს დაეხარბო. საქმე ის არის, ჩემო ძვირფასო, მრავალგზის მოღორებულო ამომრჩეველო, რომ 27 ოქტომბერს არჩეული პრეზიდენტი ძალიანც რომ ხელი ექავებოდეს, აღარ იქნება მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-



მრავალი, ყმიანი, რომელიც წარბის აწევ-დაწევით განაჩინებდა სამართალსაც და წარმართავდა ხალხის და ქვეყნის ბედსაც. მას მხოლოდ უმნიშვნელო ფუნქციები ექნება და არავინ შეეკითხება მთავრობის კონტროლს, ევროპისკენ ან აზიისკენ გაძღოლას ტრადიციებით და უტრადიციოდ, პენსია-დახმარებების მომატებას და იპოთეკართათვის მოსასხამის გადაფარებას. ბურკინა ფესოში ელჩის დანიშვნის, საკანონმდებლო ინიციატივის დაყენების უფლებაც აღარ ექნება... ერთი სიტყვით, ინგლისის დედოფალივით ტახტზე კი იჯდება, მაგრამ ვერ იმეფებს. და ახლა ეს დასტა-დასტა კანდიდატები რომ იქაჩებიან, დეიდებო, ბიძიებო, ოღონდ ამირჩიეთ და მე ვიციო. თუ მართლა სჯერა, რომ იმის შემძლე იქნება, რასაც ამბობს, ტყუილად სჯერა. ვერაფერსაც ვერ შესძლებს, მით უფრო, რომ აწინდელი პრეზიდენტის უფლებების პრემიერსა თუ პარლამენტზე კონსტიტუციურად გადანაწილების შემდეგ ღობის იქით არც გადაახედებენ ეს დაშინებული, დიდჭირგადანახადი სხვა შტოს ხელისუფალნი.

ასე რომ, მომავალზე ბეჯითად გულაკანკალებული ელექტორატო, უბრალოდ კარგად აწონ-დაწონე და გადაჭერი. ნუ შეგეშინდება, თუ იაღლიში მოგივიდა, ქვეყანა არ დაიქცევა, ისევე როგორც, ეს ქვეყანა არ აშენდება, სოლომონ ბრძენიც რომ დავსვათ პრეზიდენტად.

ჰოდა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა სულ ტყუილად ჩამოიხია კალთები, არჩევნებში მონაწილეობაზე უარი რომ უთხრეს. თუმცა ეს მისი უფლებაა, უნდა კალთებს ჩამოიხევს და უნდა ლოყებს ჩამოიხოკავს. ძალიან იყო მოწადინებული და საპრეზიდენტო სიაში დარჩენილებთაგან ბარე ორსაც სჯობდა და იქნებ შანსიც უკეთესი ჰქონდა.

თუმცა ამ ჩვენი ხალხის სულისკვეთება გასაგებია, პრემიერი ივანიშვილი, რომელმაც ჩასაძირად გაანწირული ნავი ნაპირს მიაყენა, მიდის!

ეს ძალზე ძნელადაღსაძძელ-გასაგები ძმედებაა საქართველოში: როგორ, ამხელა თანამდებობაზე უარს ამბობს და მიდის? მართლა თავისით მიდის?

ასეთი რამ არ მომხდარა ორ ზღვას შუა!..

არ მომხდარა და ახლა ხდება. როდესმე ხომ უნდა მომხდარიყო.

არადა ძალზე იოლად გასაგებია, რატომაც მიდის.

ამოუვიდა ყელში დაულაგებელი ძვეყნის ამდენი ლაგება, ყოველ წუთს ახალ-ახალი გზარეგის გმანვა, ამდენი გაუთავებელი წივილ-კივილი, ამდენი გენიოსის შენიშვნების მოსმენა და წაკითხვა, ამდენი დაუმსახურებელი საყვედურის ატანა.

ეს როგორო, რომ მიდის, სად მიდის, მაგას ნინიას ბაღი ხომ არ ჰგონიაო, ეს ღალატია, ეს გაქცევაო!..

ისიც გაუკრიტიკეს, ღია ტელეშეხვედრებს რომ აწყობს, რაც ადრე არასოდეს მომხდარა ჩვენში. სწორედ ეს უჩვეულობა, ეს სიახლე დაუწუნეს. ამას წინათ ექსპერტებს შეხვდა, შემდეგ — მედიის წარმომადგენლებს. 4-4 საათიანი გადაცემები იყო.

დიდი ინტერესით ისმინა ხალხმა. მაგრამ არაო, ეს ვერ თქვა სწორადო, ის ვერ თქვა სწორადო, არის დიდი და მრისხანე წერა-კითხვა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გრიგოლიამ შეუტია და ქულები დაიწერა, ჯანგირაშვილმა ეკონომიკის ცოდნა დაუწუნა, ჟიჟილაშვილმა — როგორ თუ ჟურნალისტებს აკრიტიკებო. სოროებიდან გამომძვრალი ნაცები პირდაპირ დანას ეხევიან, ხედავთო!..

არადა, ინტერაქტიულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ გამოკითხულთა თითქმის 80 პროცენტი ეთანხმება ბიძინა ივანიშვილის კრიტიკას მასმედიის მიმართ!

ძნელია საქართველოს ხელმძღვანელობა ისეთი კაცისთვის, როგორიც დამოუკიდებელი, გონიერი და მუშა ბიძინა ივანიშვილია, ოღონდ აი, თვით საქართველოსთვის არის იოლი.

იოლია საქართველოს ხელმძღვანელობა ისეთი კაცისთვის, როგორიც ვარხალალე სააკაშვილია, ოღონდ თვით საქართველოსთვის არის ძნელი.

ხომ ამდენი იბობოქრა მიხეილ სააკაშვილმა (ბოლო, კოჭლი იხვობის პერიოდში განსაკუთრებით), ხომ უთვალავჯერ დაასმინა და მოჯაყა საქართველო სრულიად მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ახლა, როცა პრეზიდენტობის ვადა სანთელივით ჩაადნა, ერთადერთი ოცნებით ცხოვრობს, ერთადერთი თავისტკივილი აქვს: მოდით, ერთმანეთს შევუნდოთ და პოლიტიკური მოღვაწეობის გამო ნუ დავიჭერთ პოლიტიკოსებს და ნუ დავსჯით პარტიებსო.

ავი უგრძნო გულმა, აკი ნათქვამია, ქურდს ქუდი ეწვისო.

ცოტაცა, ხალხო, ცოტაცა. როგორც იტყვიან, ორი პარასკევიღა დარჩა, მეტი კი არა. ისე, ერთი პატარა ომი მერეც გვექნება გადასატანი: ერთის გარდა მშრალზე დარჩენილი პრეზიდენტობის კანდიდატები ერთმანეთს დაერევიან და ახლა რომ ქვეყნის კონტროლს გვპირდებიან, საკუთარი თავის კონტროლს დაკარგავენ, ერთმანეთს სულ წვრილად დაუთვლიან წარსულ შეცოდებებს, ჯერჯერობით რომ არ ახმიანებენ, რადგან ყოველი მათგანი ყურებით არის დაჭერილი ნაირნაირი შეცდომებით.

ასე გადაიქცევა დრამა კომედიად და ამომრჩეველსაც რაღა დაგრჩება სიცილის მეტი. თუ... სატირლად არ დაგვირჩა საქმე!..

ალეკო ასლანიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

სამხედროებს სასადილოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები ახალი უნიფორმებით მოემსახურებიან

საქართველოს მასშტაბით, ყველა სამხედრო ნაწილში მდებარე სასადილოების თანამშრომლები, სამხედროებს ახალი ფორმებით მოემსახურებიან.

ბრენდირებული უნიფორმებისა და ფეხსაცმელების პრეზენტაცია ვაზიანში, VI ქვეითი ბრიგადის ბაზის სასადილოში გაიმართა. შპს. „ქართული კვების კომპანიის„ მენეჯმენტმა სასადილოს თანამშრომლებს სპეციალური სტანდარტებით შეკერილი ფორმები გადასცა.

— მუქ ლურჯ-ნაცრისფერი კომბინირებული ახალი კოსტიუმები ბუნებრივი ბაერგამტარი ქსოვილით არის შეკერილი. ყველა კომპლექტში დამატებით შედის ქუდი, წინსაფარი და ფეხსაცმელი, მრეცხავებისთვის სპეციალურად დამზადდა რეზინის წინსაფარი და რეზინის შექმა ქეჩით. გაცემის ხაზზე მდგომი თანამშრომლებისთვის კი თეთრი ხალათები, მუშებისთვის კომბინიზონი და კეპები, — განაცხადა შპს „ქართული კვების კომპანიის“ დირექტორის მოადგილემ ირაკლი ფირცხალაიაშვილმა.

ჯარისკაცები საკვებით არ მონამლულან, უბრალოდ კუჭი აეშალათ

შპს „ქართული კვების კომპანიის“ მენეჯმენტი ქართველი სამხედროების საკვებით მოწამვლის ფაქტებს არ ადასტურებს. როგორც ჟურნალისტებს შპს „ქართული კვების კომპანიის“ დირექტორის მოადგილემ ირაკლი ფირცხალაიაშვილმა განუცხადა, ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციები ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

— რამდენიმე ხნის წინ ჯარისკაცები იყვნენ გადაყვანილი გორის ჰოსპიტალში მოწამვლის სიმპტომებით. სამი დღე მათ უტარდებოდათ გამოკვლევა და ლაბორატორიულმა კვლევებმა არ დაადასტურა საკვებით მოწამვლის ფაქტი. დადგინდა ის, რომ ეს იყო დიარეა. დიარეა ეს არის მოწამვლის ყველაზე მსუბუქი ფორმა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს როგორც სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევამ, ასევე ენტეროვირუსმა, ან სხვა რამემ. — განაცხადა ფირცხალაიაშვილმა. მისივე თქმით, ასევე შემოწმდა საკვებიც და იგი უვნებელი აღმოჩნდა.

ინტერპრესი

ᲝᲞᲝᲞᲝᲝ!

ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲛ ᲝᲗᲮᲘ (ᲒᲣ)ᲒᲣᲚᲘᲡ ᲑᲣᲓᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲤᲠᲘᲜᲐ

ᲫᲕᲔᲚᲘ თავმჯდომარე, ძველი გენერალური მდივანი, ძველი სახეებით დაკომპლექტებული 68-კაციანი პოლიტიკური საბჭო და ახალი პარტიული დროშა, — სპორტის სასახლეში პრეზიდენტის პარტიის — ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მეექვსე ყრილობა გაიმართა.

პარტიული ღონისძიება დაგეგმილზე 35 წუთით გვიან დაიწყო და საათზე მეტხანს გაგრძელდა. მანამდე კი სპორტის სასახლის დარბაზი საქართველოს მასშტაბით შეკრებილი პარტიული აქტივით გაივსო. **„ნაციონალური მოძრაობის“** ციონალური მოძრაობის“ წევრებსა და მხარდამჭერებს შეეძლებათ, მიიღონ გადაწყვეტილება პარტიის სახელით არჩევნებში მონაწილე კანდიდატებთან დაკავშირებით.

ძირითადი პარტიული პროცედურების შემდეგ სცენაზე პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე ავიდა. ბაქრაძემ საკუთარი სიტყვა პარტიული ნდობისთვის მადლობის გამოცხადებით დაიწყო, დაპატიმრებული თანაპარტიელების მოხსენიებით განაგრძო და პოლიტიკური გეგმების დაკონკრეტებით დაასრულა.

„პარტია განახლებას განიცდის და ახალი პოლიტიკური ბრძოლისთვის ემზადება... მინდა მკაფიოდ დავადასტურო — “ნაციონალური მოძრაობა“ არასდროს დაადგება რევანშიზმისა და სამაგიეროს გადახდის გზას! მინდა მკაფიოდ დავადასტურო — ჩვენ არ გვყავს მტრები საქართველოს შიგნით! მინდა მკაფიოდ დავადასტურო — საქართველოს სჭირდება მომავალი პრეზიდენტი, რომელიც იქნება თითოეული ადამიანის და არა მხოლოდ მისი პარტიული მომხრეების პრეზიდენტი! თქვენ მომეცით მანდატი, წარმოვადგინო ჩვენი პარტია და ეს არის შერიგების, გამთლიანების და ერთიანობის მანდატი,“ — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისი თქმით, მოქმედმა ხელისუფლებამ მოსახლეობას დაპირებები არ შეუსრულა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი განვლილი ერთი წლის განმავლობაში საკუთარ შეცდომებზე ბევრი რამ ისწავლა და მის

მხარდამჭერების ნაწილი პარტიის ყრილობაზე ერთი წლის წინათ, საპარლამენტო არჩევნებისთვის დამზადებული მაისურებით გამოცხადდა, ნაწილს კი ახალი მაისურები ეცვა, რომელსაც „მე მიყვარს საქართველოს“ ნაცვლად ორი წარწერა ჰქონდა — გულზე „არა წარსულში დაბრუნებას!“ ზურგზე კი — „არა ძალადობას!“ ეწერა.

ძალადობაში არაერთგზის მხილებული პარტია ოპოზიციიდან ხელისუფლებაში გადასასვლელად ბრძოლის ახალ რაუნდს იწყებს „არა ძალადობას“ ლოზუნგით.

„ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა გიორგი ვაშაძის სიტყვით გაიხსნა. ვაშაძემ ოპოზიციაში მოღვაწეობის 1-წლიანი პერიოდი შეაჯამა. მანვე აღნიშნა, რომ პარტია პროცესების გაანალიზების შემდეგ განახლების გზას დაადგა და უპირატეს ღირებულებებად — გახსნილობას, ჩართულობასა და დემოკრატიას აცხადებს.

ყრილობის დელეგატების მონაწილეობით პარტიამ ახალი წესდება დაამტკიცა და პოლიტსაბჭოს კენჭი უყარა; პოლიტსაბჭოს თავმჯდომარედ დავით ბაქრაძე აირჩიეს. შემდეგ კი პარტიის პირველი და მეორე კაცის დასახელების დროც დადგა.

„ჩვენი საერთო შეთანხმებით, კვლავ ვანო მერაბიშვილი უნდა იყოს ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი... და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცედურა უნდა გავიაროთ — უნდა ავირჩიოთ პარტიის თავმჯდომარე, და, რაღა თქმა უნდა, ამ თანამდებობაზე წარმოდგენილია მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურა,“ — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაცხადებული შიდაპარტიული დემოკრატია, ამ ეტაპზე, სავარაუდოდ, მხოლოდ ქვედა რგოლებს შეეხება. განახლებული პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ რაიონული, საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეებს პარტია ძველი წესისამებრ აღარ დანიშნავს და ადგილობრივ ლიდერებს პარტიის წევრები რაიონულ კონფერენციებზე გამოავლენენ.

სააკაშვილის პარტია საზოგადოებას ყველა დონის არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევას პრაიმერიზით ჰპირდება, როცა „ერთიანი ნა-

საპრეზიდენტო სათრეველა

5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ - „ᲮᲣᲗᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ“

ახალ „ჩოხა-ახალუხით“,
ტრაბახით და რახარუხით,
„დადაფნული“ ცოცხებით და
სხვისთვის ჩირქის მოცხებითა
პარტიული ყრილობიდან
უმგვან უსირცხვილობითა,
როცა ლაყბობს „აცა-ბაცა“ ,
თვალში ისევ გვაყრის ნაცარს.
ჰოდა, მკაცრად, ძალზე მკაცრად,
ვუთხრათ მიშას, ვინც ვართ,
რაც ვართ
და მოვთხოვოთ ჩვენგან გაცლა!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ.
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ . 2013 წლის 5 ოქტომბერი

�торическая ადგილობრივ ლიდერებს პარტიის წევრები რაიონულ კონფერენციებზე გამოავლენენ.

სააკაშვილის პარტია საზოგადოებას ყველა დონის არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევას პრაიმერიზით ჰპირდება, როცა „ერთიანი ნა-

ოთხი გულია გამოსახული, რომელიც სააკაშვილის თქმით, ოთხი სიყვარულის სიმბოლოა. პრეზიდენტი საკუთარი პარტიის მხარდამჭერებს გამარჯვების იმედით დაემშვიდობა.

ყრილობის დასრულების შემდეგ კი დროშაზე გამოსახული ოთხი სიყვარული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი წერეთელმა for.ge-სთან ასე განმარტა: **„სხვას შესაძლოა, სხვა ასოციაცია გაუჩნდეს, მაგრამ ჩემთვის ეს იქნება ღმერთის, სამშობლოს, ოჯახისა და მეგობრობის სიყვარულის სიმბოლო“.**

ჩვენს კითხვაზე, **არსებობს თუ არა პარტიულ დროშაზე სიმბოლოდ გულის გამოსახვის პრეცენდენტი პოლიტიკური პარტიების ისტორიაში, გიგი წერეთელი პასუხობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა ახალ სტანდარტებს ამკვიდრებს“.**

ᲛᲐᲓᲚᲔᲜᲐ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲐᲘᲐ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ - ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მაია ფანჯიკიძე ვიზიტის ფარგლებში მაღალი დონის მნიშვნელოვან შეხვედრებს გამართავს. კონკრეტულად, მაია ფანჯიკიძე შეხვდება გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრს გვიდო ვესტერველეს, ასევე ფედერალური კანცლერის მრჩეველს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში კრისტოფ ჰოისგენს.

ამასთან, ზალკალიანის განცხადებით, საუბარი იქნება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებასა და რუსეთის ბოლოდროინდელ ქმედებებზე.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲘᲡᲢᲔᲠᲘᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ

ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲝᲠᲝᲑᲘᲡ ინსტიტუტი „ნაციონალურ მოძრაობას“ დიცსა და დვანში არსებულ მოვლენებთან დაკავშირებით, „ხელოვნურად შექმნილ ისტერიაში“ ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ „სააკაშვილი-ბოკერიას მიერ მართული ორგანიზაციების მიერ მავთულხლართებთან დაგეგმილი ღონისძიება არსებულ სიტუაციებს კიდევ უფრო გაამწვავებს“.

აღნიშნულთან დაკავშირებით თანასწორობის ინსტიტუტის განახლებულმა შემადგენლობამ სპეციალური განცხადება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისთან წაიკითხა. როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა მელორ ვაჩნაძემ განაცხადა, საოკუპაციო ხაზთან ვითარების გამწვავება მიხეილ სააკაშვილს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საშუალებას მისცემს, რაც ავტომატურად გამოიწვევს მისი საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივებას.

— მიხეილ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ უგუნური პოლიტიკისა და პროვოკაციაზე წამოგების შედეგია ის, რომ მწვავედ დგას ტერიტორიების დაკარგვის საკითხი. ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ დღესაც პოლიტიკური გავლენის აგენტი მიხეილ სააკაშვილი ეწევა მოღალატეობრივ პოლიტიკას და ცდილობს ნებისმიერი ხერხით შეინარჩუნოს პრეზიდენტის თანამდებობა, რომელიც შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს. ეს გამოიხატება ხელოვნურად შექმნილ ისტერიაში დიცსა და დვანთან არსებულ ვითარებასთან მიმართებაში. სააკაშვილი-ბოკერიას მიერ მართული ორგანიზაციები გეგმავენ პროვოკაციას ოკუპანტის მიერ უკანონოდ გავლებულ მავთულხლართებთან, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს სიტუაციას და მიხეილ სააკაშვილს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ გამოაცხადოს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა, ეს კი ავტომატურად გამოიწვევს მისი საპრეზიდენტო ვადის გახანგრძლივებას, — ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, „თანასწორობის ინსტიტუტი“ მიიჩნევს, რომ საზოგადოება მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს დიცსა და დვანში მიმდინარე მოვლენებს და „ნაციონალურ მოძრაობის“ მიერ „ადგილზე დაგეგმილ პროვოკაციას არ აჰყვეს“.

— ასევე მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, პირად კონტროლზე აიყვანონ ყველა პროვოკატორი, რომელიც შეეცდება სიტუაციის ხელოვნურად გამწვავებას“, — აღნიშნეს თანასწორობის ინსტიტუტის წევრებმა.

მელორ ვაჩნაძის გარდა, პარტიის ოფისთან განცხადება გააკეთა ირაკლი კაკაბაძემაც. მისი განმარტებით, დანამდვილებით შეუძლია თქვან, რომ მიხეილ სააკაშვილი 1984 წლიდან რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა.

— 1984 წლიდან 1992 წლის ჩათვლით სააკაშვილი ემსახურებოდა რუსეთის ინტერესებს. სწორედ ამიტომ მივმართავთ მის პარტიას განცხადებით, გაასაჯაროოს მისი ბიოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც 1989-90 წლებში საქმიანობას შეეხება და რომელიც ავტობიოგრაფიაში დაკონკრეტებული არ არის. ესაა აშკარა ინტერესთა კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის, - აღნიშნა კაკაბაძემ.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥ ᲙᲘᲠᲘᲝᲜ II-ᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲡ ᲨᲔᲘᲡ�წᲐᲕᲚᲘᲐᲜ

ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ კირიონ II-ის ფონდის დოკუმენტებს პოლონელი სპეციალისტები შეისწავლიან. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივიდან აცნობეს, არქივს პოლონეთის სახელმწიფო არქივის დელეგაცია 5-დღიანი ვიზიტით ეწვია. მათივე ცნობით, პოლონეთის ცენტრალური საისტორიო არქივის კონსერვაცია-რესტავრაციის სპეციალისტი ივონა კოტალა-სკიბა და არქივისტი ლუკას ტრუსკინსკი ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ პატრიარქ კირიონ II-ის ფონდში არსებულ პოლონურ დოკუმენტებს გაეცნობიან, სრულად აღწერენ მასალას და დაადგენენ დოკუმენტების ფიზიკურ მდგომარეობას. პროექტის მომდევნო ნაწილი აღნიშნული დოკუმენტების რესტავრაციას ითვალისწინებს.

არქივის სტუმრები ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს თეონა იაშვილს შეხვდნენ და შესასწავლი დოკუმენტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. კირიონ II-ის ფონდი ეროვნულ არქივში 1923 წლიდან ინახება. მასში დაცულია 217 საქმე, რომლებიც მოიცავს XIV-XIX საუკუნეების მასალას.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

სატენდერო მოწვევა

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (P130413)

სატენდერო მოწვევა №EWHIP-4/CW/ICB-01

სამშენებლო სამუშაოები E-60 ავტომაგისტრალის რუისი-რიკოთის მონაკვეთის მოდერნიზაციისთვის (კმ95-კმ143) II მონაკვეთი: აგარა-ზემო ოსიაური (კმ19-კმ31)

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის კრედიტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის. აღნიშნული კრედიტის გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება E-60 ავტომაგისტრალის აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთის (კმ114-კმ126) მოდერნიზაციის სამუშაოების ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა წინასწარი და მიწის სამუშოების განსახორციელებლად და საფარის, ხელოვნური ნაგებობების, მიერთებების, გზაჯვარედინებისა და გზის კუთვნილება-მოწყობილობების გასაუმჯობესებლად დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია **27 თვე.**

3. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)“ და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

4. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

5. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მინიმალური საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა 46,000,000 (ორმოცდაექვსი მილიონი) აშშ. დოლარის ოდენობით, მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მთლიანად მიღებული დამოწმებული გადახდების სახით დაანგარიშებული;

ბ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ. პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ გააჩნია ისეთ ფინანსურ რესურსებთან წვდომა, როგორიცაა ლიკვიდური აქტივები, თავისუფალი რეალური აქტივები, საკრედიტო ხაზები და სხვა ფინანსური საშუალებები, გარდა საკონტრაქტო ავანსისა. საბრუნავი სახსრებისთვის მოთხოვნილია შემდეგი: (შ) 5,800,000 (ხუთი მილიონ რვაასი ათასი) აშშ. დოლარის ექვივალენტი და (შშ) საერთო საბრუნავ სახსრებთან დაკავშირებული მოთხოვნები აღნიშნული კონტრაქტისა და მისი არსებული ვალდებულებების გათვალისწინებით.

დ. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში კონტრაქტორის, ძირითადი კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორის სახით მონაწილეობის მიღება მინიმუმ ორ (2) კონტრაქტში, თითოეული ღირებულებით არანაკლებ 42,000,000 აშშ. დოლარი, ან ერთ კონტრაქტში ღირებულებით არანაკლებ 84,000,000 აშშ. დოლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და ძირითადად დასრულებულია და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშოების ანალოგიურია.

6. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ. დოლარში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362

აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNAT6ONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SW6FT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65№B0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას სჰგზის მონაკვეთის დასახელება და კონტრაქტორის სახელი).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

7. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **22 ნოემბრის 17:00 საათისა ადგილობრივი დროით.** წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **22 ნოემბრის 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.**

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 860,000 (რვაას სამოცი ათასი) ლარის ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ძლაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის (120 დღე) გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში.

9. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 305
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

INVITATION FOR BIDS

Geogria
Fourth East-West Highway Improvement Project (P130413)
Bid Invitation No: EWHIP-4/CW/ICB-01

CONSTRUCTION WORKS FOR UPGRADING OF RUISI-RIKOTI SECTION OF E-60 HIGHWAY (km95-km143) SECTION II: AGARA–ZEMO OSIAURI (KM19– KM31)

1. Georgia has applied for a credit from the World Bank toward the cost Fourth East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to eligible payments for Upgrading of Agara- Zemo Osiauri Section of E-60 Highway (km114-km126).

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and upgrading of pavement, structures, junctions, intersections and road facilities. Implementation period for execution of construction works is **27 months.**

3. Procurement of works will be conducted through the procedures of International Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders, as defined in the guidelines.

4. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

5. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Minimum average annual construction turnover of US$46,000,000 (forty six million US Dollars), calculated as total certified payments received for contracts in progress or completed, within the last five (5) years;

b. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

c. The Bidder must demonstrate access to, or availability of, financial resources such as liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means, other than any contractual advance payments to meet: (i) the following cash-flow requirement: capacity to have a cash flow amount of US$ 5,800,000 (five million eight hundred thousand US Dollars) equivalent, and (ii) the overall cash flow requirements for this contract and its current commitments;

d. Participation as contractor, management contractor, or subcontractor, in at least two (2) contracts within the last five (5) years , each with a value of at least USD 42,000,000, or one contract of at least USD 84,000,000 that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Works;

6. A complete set of bidding documentation in English may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362
For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name and contractor's name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

7. The Bids should be delivered at the address below not later than **November 22, 17:00 Hours local time.** Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on **November 22, 17:00 Hours local time.**

8. All bids should be submitted together with the Bid Securities for the amount of GEL 860,000 (eight hundred sixty thousand Georgian Laris) or equivalent in a freely convertible currency. Bid Security shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (120 days).

9. The Employer's address for the purpose of Bid submission is:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
12 Al. Kazbegi Avenue,
Georgia, Tbilisi 0160
Tel: +995 322 37 05 08, ext. 305
E-mail: info@georoad.ge

გიგი უგულავამ

ვისი ფულებით იგულავა?!.

„ტოლი ნახე, კოჭი გააგორე!“

ეს სიტყვები რომ ავლაბარში ან „ნახალოვკაში“ ქუჩის მოხულიგნო ბიჭებისგან მოგვესმინა, ალბათ არც გაგვიკვირდებოდა, მაგრამ როცა ამავე სიტყვებით ჩვენი დედაქალაქის ღრმად პატივცემულმა მერმა, ევროპულ-ამერიკულად განსწავლულმა და რაფინირებულ ინტელიგენტად აღიარებულმა გიგი უგულავამ ტელევიზიით თბილისის საკრებულოს ახლად არჩეულ თავმჯდომარეს ირაკლი შიხიაშვილს მიმართა, ერთობ განცვიფრებული და ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილნიც დავრჩით. აღარაფერს ვამბობ თავად შიხიაშვილის განწყობაზე, რომელიც ქალაქის მერმა კოჭის გასაგორებლად იმ უბრალი მიზეზის გამო გაიმეტა, რომ მან ნაცების მიერ დაწესებული პარტიული სუბორდინაციის ნორმები დაარღვია და მისი უდიდებულესობა გიგი უგულავა სატელევიზიო დებატებში გამოიწვია.

შიხიაშვილი, როგორც ჩანს, თბილისის მერის უტიფრობამ კი გაანაწყენა, მაგრამ ვერ დააბნია და გადაწყვიტა მის მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში ესაუბრა იმ თემებზე, რომლებთან დაკავშირებითაც სურდა პირდაპირ ეთერში კითხვები დაესვა უგულავასთვის, რათა მოსახლეობისთვის კიდევ ერთხელ დაენახვებინა დედაქალაქის თავკაცის – ნიღაბაფარებული დამნაშავისა და თაღლითის ნამდვილი სახე.

საქმე შეიძლება აქამდე არც მისულიყო, მაგრამ დედაქალაქის მერიასა და საკრებულოს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც ამ უკანასკნელმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის ხელფასების მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. ამას მოყვა ხსენებული ამხანაგობების ორგანიზებით საკრებულოს შენობის წინ მოწყობილი ხალხმრავალი აქცია, რომელიც მალევე დაპირისპირებაში გადაიზარდა. როგორც ბატონი შიხიაშვილი აცხადებს, გაუგებრობისა და მღელვარების საბაბი გახდა ამხანაგობების თავმჯდომარეთა სუბიექტური გადაწყვეტილებით დაფინანსება, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები არამიზნობრივად და დანაშაულებრივად ხმარდებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიულ აქტივს.

რას ნიშნავს მიშნაცების პარტიული აქტივის დაფინანსება და რატომ არის ეს დანაშაული? **შიხიაშვილის განმარტებით, თბილისში 8 ათასამდე ამხანაგობა წლების განმავლობაში (2006-2013) ფინანსდებოდა რამდენიმე ათეული მილიონი (თითქმის 100 მილიონი) ლარით.კერძოდ, ფინანსდებოდა ამხანაგობების თავმჯდომარეთა ხელფასები და სხვადასხვა პროგრამები (ლიფტების, სახურავების შეკეთება და სხვა., ასევე ფინანსდებოდა ყოველწლიურად მათივე ქალაქგარეთ სემინარებზე გაყვანა, რაც საკმაოდ ძვირი უჯდებოდა ბიუჯეტს (მგზავრობა, სასტუმრო, ქეიფები).** შიხიაშვილისავე განცხადებით, იმ 8 ათასი თავმჯდომარიდან მუდმივად, ყოველკვარტალურად გასამრჯელოს იღებდა რატომღაც მხოლოდ 4 ათასი პირი, ხოლო დანარჩენ 4 ათასს თანხა არასდროს მიუღია. ამას საკრებულოს თავმჯდომარე მარტივად ხანის: **ვინც ხელფასს იღებდა, იყო ნაცებისთვის მისაღები ხალხი, ხოლო ვინც არ იღებდა, მათი განწყობა არ მოსწონდათ(!).**

აქ, შესაძლოა, კითხვაც დაგებადოთ: თუ ეს მართალია, რატომ ვერ ცვლიდნენ არასასურველ ადამიანებს სასურველით? შიხიაშვილის აზრით, ამას ვერ აღწევდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავმჯდომარეს ირჩევს კორპუსის მოსახლეობა და ყველგან ვერ ხერხდებოდა სასურველი კანდიდატის გაყვანა. ეს კი არა და, იმ 4 ათასი თავმჯდომარიდანაც, რომლებიც ხელფასს იღებდნენ, ჰავდათ განსაკურებით გამორჩეული 2 ათასი აქტივისტი – მათ ყოველკვარტალურად ახალისებდნენ, ხოლო მეორე ნახევარს – ჭადრაკულად, ანუ მონაცვლეობით.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეთა „წახალისების“ ამ უცნაურ „წესს“ რომ გავეცანი, ბუნებრივია, გამიჩნდა კითხვები: **ვინ იყო ეს ხალხი და რატომ იყო მათ მიმართ ასეთი შერჩევითი მიდგომა? ამის თაობაზე არსებობდა ქალაქის მერიის ან საკრებულოს რაიმე გადაწყვეტილება (დადგენილება) თუ ეს ყველაფერი ხდებოდა ერთი „ბლაღოჩინის“ (თბილისის მერიის) სუბიექტური მოსაზრებით?** ამ კითხვებზე პაუხის მისაღებად გადავწყვიტე ჩემი საცხოვრებელი კორპუსის (ვ. ბოჭორიშვილის ქ. №1) ამხანაგობის თავმჯდომარეს **ჯემალ ცუცქირიძეს** გავსაუბრებოდი.

– ბატონო ჯემალ, დაზარალებულხართ, – ვეუბნები, **– არ ვიცოდი ქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით ხელფასი თუ მოგიხსნეს, თორემ აქამდეც მოგისამძიმრებდით.**

– მადლობთ, ბატონო ჩემო, თანაგრძნობისთვის (ეღიმება), ხომ გაგიგიათ, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო. ასე იყო მაგ ხელფასის ამბავიც, სულ რაღაც 9 თვის მანძილზე მაფინანსებდნენ და მერე ისიც ქარს გაატანეს.

– გინდათ თქვათ, რომ ვიდრე საკრებულო გადაწყვეტილებას მიიღებდა, ხელფასი მანამდე მოგიხსნეს?

– კი, ნამდვილად ასე იყო, 2011 წლის იანვრიდან უკვე აღარ მაძლევდნენ.

– მიზეზად რა მოგიდეს?

– რა უნდა მოედოთ, ნაცების ამბავი ხო მოგეხსენებათ, ვინც მაგათ ხუშტურებზე არ ცეკვავს, ყველა უპატიოსნო, ქვეყნის დამაქცევარი და მოღალატეა.

– თქვენი ეგ „მოღალატეობის“ ამბავი ვისგან შეიტყვეთ?

– მაშინდელი ჩვენი საარჩევნო უბნის თავმჯდომარისგან. ქალბატონმა მაგული გოზალიშვილმა პირდაპირ მომახალა, რადგან ჩვენი კაცი არა ხარ, აწი წახალისების იმედიც ნუღარ გექნებაო.

– კაცო, გამაგებინე, ეგენი ხელფასს გაძლევდნენ თუ უბრალოდ გახალისებდნენ?

– კაცმა არ იცის, რას გვაძლევდნენ. ყოველკვარტალურად 300 ლარს ჩამოგვირიგებდნენ და გვეუბნებოდნენ – გახალისებთო.

– ქალაქგარეთ „გასტროლებზე“ რომ მიყავდით, იმასაც წახალისების მიზნით აკეთებდნენ?

– იმას სემინარებს არქმევდნენ, მაგრამ სინამდვილეში იქ უფრო დროის სატარებლად და საქეიფოდ მივყავდით, ვიდრე რაიმეს სასწავლებლად. მე პირადად ასეთ „სემინარზე“ ორჯერ ვიყავი (ქობულეთსა და ჩაქვში) და სხვა დასკვნა ვერ გამოვიტანე.

– იმაზე არ გიფიქრიათ, ამ ხარჯებს საიდან ფარავდნენ?

– შიხიაშვილი ხომ აცხადებს, თურმე ამას ყველაფერს ქალაქის თავის სუბიექტური გადაწყვეტილებით, ბიუჯეტის კისრიდან იღებდნენ, რაც ჩემი აზრით, დანაშაულის ტოლფასია. მე პირადად მიმაჩნია, რომ ამხანაგობათა თავმჯდომარეები ხელფასს უნდა ვიღებდეთ გაკეთებული საქმეების მიხედვით და არა იმის გათვალისწინებით, ვინ რომელ პარტიას უძვრება.

– მაგაში მართალი ხართ, მაგრამ მე პირადად ვერ ვიხსენებ, რომ ქალაქის მერიას ჩვენი საცხოვრებელი კორპუსისთვის რაიმე სასიკეთო გაეკეთებინოს. არადა რამდენი რამ არის მისახედი და მოსაგვარებელი. იმის გამო, რომ თავის დროზე მშენებლებმა სამუშაოები ბოლომდე არ დაასრულეს, კორპუსის სადარბაზოს ჭერი დღემდე აუკვრელია, ხოლო ალაგ-ალაგ შელებილი შენობის ფასადი აფრიკული ზებრასავით აჭრელებულია.

– მერედა ვისი ბრალია, რომ ეს ყველაფერი გასაკეთებელია? მე, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარემ, რაიონის გამგეობაში გნებავთ თუ ქალაქის მერიაში, ამის თაობაზე ვის აღარ მივმართე პირადად და წერილობითაც, მაგრამ ყური არავინ შეიბერტყა. ყველგან პასუხად ვიღებდი, თანხა არა გვაქვს და ვერ დაგეხმარებითო.

– აბა უგულავა რომ გვეტრაბახება, გადაყოლილები ვიყავით ამხანაგობათა სადარბაზოებისა და ლიფტების გამართულ მუშაობაზე, კიბეებისა და სახურავების შეკეთებაზეო, ვითომ გვაბოლებს?

– გვაბოლებს და მერე როგორ გვაბოლებს! მართალია თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე შიხიაშვილი, როცა ამბობს: **„გულსატკენია, ქალაქის მერი ნუკრის თვალებით რომ გვიყურებს ხოლმე და გვესაუბრება ამხანაგობის თავმჯდომარეებისა და „მისთვის საინტერესო“ პროგრამების ბედზე, რატომ არ ფიქრობდა თბილისელებზე და ამხანაგობის უამრავ პატივსაცემ თავმჯდომარეზე მაშინ, როცა ხალხს აფორმებდა ფიქტიურად მერიის შპს-ებში და ხელფასის სახით მილიონებს არიგებდა, როდესაც თბილისის განვითარების ფონდიდან ტომრებით ფული გამოჰქონდა (ათეულობით მილიონი) და პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე არიგებდა ხელფასებს.“**

თუმცა იმავე შიხიაშვილის აზრით, აქაც პრობლემებია, კერძოდ, გამოტანილი და დარიგებულ თანხებს შორის დიდი სხვაობაა გამომტანის – უგულავას სასარგებლოდ. აბა გასცეს ქალაქის ყოყოჩა მერმა პასუხი იმაზე, თუ რატომ ხდებოდა ერთი კაცის სურვილის მიხედვით ჩვენი და ჩვენი შვილების კუთვნილი ფულის ხარჯვა(!). ეტყობა, ამაზე პასუხს თბილისელებზე ნიადაგ მზრუნავი უგულავა არ გასცემს და ვერც გასცემს. თანდათან იკვრება მის მიმართ წაყენებულ ბრალდებათა წრე, რაც დიდი ალბათობით იმის გარანტიას იძლევა, რომ ახლო მომავალში კოჭის გაგორება შიხიაშვილს კი არა, თავად უგულავას მოუწევს.

ოთარ ხუციშვილი

◎ მოსავალი

ძალიან ძვირი და ძალიან იაფი სიმინდი

წელს სიმინდის მოსავალი რეკორდული იქნება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო 600 ათას ტონა მოსავალს ელოდება. თუმცა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განსხვავებული მდგომარეობაა. ლიხს იქეთ სიმინდის ფასიც მაღალია და უკმაყოფილოც არავინაა, ლიხს აქეთ კი მარცვლეულის ღირებულებას უჩივიან.

ის, რომ დასავლეთ საქართველოში სიმინდი ძვირი ღირს, ამას თავისი ახსნა აქვს. იქ სიმინდი ადგილობრივი მკვიდრთათვის უმთავრესი საკვები პროდუქტია (პურთან გათანაბრებული). აღმოსავლეთში კი სიმინდს მარტოოდენ ფრინველისა და პირუტყვის საკვებად იყენებენ, შესაბამისად, ამგვარი მიდგომა ფასზეც ახდენს გავლენას.

წლეულს საქართველოში დათესილი ფართობის მოცულობამ 174 ათასი ჰექტარი შეადგინა. მოსავალთან ერთად, სიმინდის ფასმაც მოიმატა. ამჟამად იმერეთსა და სამეგრელოში ფასი საკმაოდ მაღალია და 1 ფუთზე (16 კგ) 15 ლარს შეადგენს. ექსპერტთა ვარაუდით, მაღალ ფასს სიმინდი დაახლოებით წლის ბოლომდე შეინარჩუნებს.

ბოლო 2 წელი სიმინდისთვის უსვმოსავლიანია მსოფლიო მასშტაბითაც. წინასწარი შეფასებით, მოსალოდნელია, რომ სიმინდის წარმოება, წინა სეზონთან შედარებით, 25 მლნ ტონით, ანუ თითქმის 3%-ით გაიზრდება. ამასთან, სიმინდის ძალიან დიდ მოსავალს ელოდებიან აშშ-სა და უკრაინაში.

მიუხედავად იმისა, რომ სიმინდის ღირებულება გაიზარდა, სამომხმარებლო ბაზარზე სხვაობა მაინცდამაინც არ შეიმჩნევა. ამ ეტაპზეც 1 კგ სიმინდის ფქვილის ფასი 1,50-2 ლარის ფარგლებშია. ასევე იყიდება ის დედაქალაქის წისქვილებშიც.

გამორიცხული არ არის, უახლოეს თვეებში სიმინდი შედარებით გაიაფდეს. ამ მხრივ ცვლილებები სამომხმარებლო ბაზარზე ჯერ არ შეინიშნება, თუმცა შემოდგომასა და ზამთარში სიმინდის გაიაფება მოსალოდნელია. გლეხებს კი იმედი აქვთ, რომ სიმინდის ფასი მომავალშიც შენარჩუნდება.

„შარშან 1 ტონა სიმინდი მოვიწიეთ, წლეულს 2 ტონამდეა, მაგრამ პრობლემა იგივეა, რაც მანამდე იყო. ერთადერთი შეღავათი ის არის, რომ პირუტყვისა და შინაური ფრინველს გამოკვება წელს არ გაგვიჭირდება. შარშან სიმინდი იაფი იყო - 7 ლარზე მეტად არ გაყიდულა, შარშანწინ კი 15 ლარამდეც ღირდა. მაშინ მოსავალი არ იყო დიდი და მიზერული მარაგი სეზონის ბოლომდე არ გვეყო. კარგი იქნება არსებული ფასი თუ შენარჩუნდება, მაგრამ ეს არ არის ჩვენ სურვილზე დამოკიდებული“, – ამბობს სენაკელი მიშა ცაგურია.

სიმინდის აღება კახეთში უკვე ორი კვირაა დაიწყო, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, აქ რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა. მარცვლეულის ფასი ბოლო ოთხი -ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია. მინდვრებიდან კილოგრამს ტრეიდერები 35 თეთრად იბარებენ მაშინ, როდესაც შარშან 45 თეთრი იყო. მიზეზი იაფფასიანი უკრაინული იმპორტია, რომელიც, ფერმერების მტკიცებით, უხარისხოა, მაგრამ ქართულ ბაზარზე ფასი მაინც იმის მიხედვით დგინდება.

„საქართველოში ისეთი სიმინდი შემოაქვთ, რომელსაც საერთაშორისო ბაზარზე ვერ გაიტანენ, დამტვრეულია, მაგრამ მყიდველი მაინც ჰყავს – ფერმებია, ხალხს ფრინველი ჰყავს, იაფად მიაქვთ“, – აცხადებს ზურა სულაძე, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია, სართიჭალაში 200 ჰექტრამდე მიწაზე მარცვლეული მოჰყავს.

სიმინდის ექსპორტი საქართველოდან ბოლო 3-4 წლის განმავლობაში შვიდჯერ გაიზარდა და შარშან 7,7 მლნ დოლარს გადააჭარბა. თუმცა, ექსპორტის ზრდასთან ერთად, მოიმატა იმპორტმაც (12,5%-ით) და თითქმის, 9,5 მილიონ დოლარს მიაღწია. სიმინდი ექსპორტსა და რეექსპორტზე, ძირითადად, მეზობელ ქვეყნებში – სომხეთში, აზერბაიჯანსა და ირანში გადის.

„ჯერ არ გამიგია, ვინმეს რეალიზაციის პრობლემა ჰქონდეს, უბრალოდ, ყველას უნდა, რომ იაფად იყიდოს. ფასები, როგორც წესი, ზამთარში იმატებს ხოლმე, მაგრამ დასაწყობებასა და შენახვას თავისი ხარჯი და რისკი აქვს. შარშან, მაგალითად, ივნისამდე ერთი კილოგრამი სიმინდი 45 თეთრი ღირდა, ყველამ თავიდან მოიშორა.ზაფხულში ფასმა უცებ 60 თეთრამდე მოიმატა, ბევრი კლიენტი გამოჩნდა, მაგრამ ვეღარ ვაწვდიდით. წინასწარ ვერფერს გათვლი, ამიტომ, მირჩევნია, მარცვლეული პირდაპირ მინდვრიდან გავყიდო“, – აღნიშნავს ზურაბ სულაძე.

გიორგი ბექაური

◎ კვალი დროში

საუკუნეს შეჭიდებული დიდი მეცნიერი



ამ დღეებში 93 წელი შეუსრულდა გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ბ-ნ **მალხაზ ზაალიშვილს** — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის დამფუძნებელსა (1986) და დირექტორს (1986-2000), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს (1990-2004), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, მრავალი თაობის აღმზრდელსა და მასწავლებელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს (2000-2006), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური ძვრადობის სექციის თავმჯდომარეს, ბიოფიზიკის საერთაშორისო საზოგადოება „ბიოფიზიკის განვითარებისა და სწავლების“ სექციის თავმჯდომარეს, მეცნიერებათა აკადემიის „მოამბისა“ (ბიოლოგიის სექცია) და „მაცნეს“ (ბიოლოგიის სერია) მთავარ რედაქტორს, არაერთი უცხოური სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს, მრავალი დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომის ავტორს, საერთაშორისო ავტორიტეტისა მქონე ღვაწლმოსილ მკვლევარს.

ბ-ნი მალხაზ ზაალიშვილი გამოირჩეოდა და გამოირჩევა საზოგადოებრივი აქტიურობით, პატრიოტიზმითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით. საკმარისია დავასახელოთ მისი არსებითი ხასიათის მონაწილეობა 1989 წლის 9 აპრილის გამომკვლევ კომისიაში, რომელშიც ხელმძღვანელობდა ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ კომისიას. უკანასკნელ წლებშიც, როდესაც საქართველოში მეცნიერება, განათლება, — ზოგადად საქართველო და ქართველი ხალხის ინტერესები, — მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა, მხცოვანი და ღვაწლმოსილი მეცნიერი უყოყმანოდ და ახალგაზრდული ენერგიით ემსახურა სიმართლესა და სამართლიანობას და თავისი წვლილი შეიტანა იმ გამარჯვებაში, რომელმაც ქვეყანას განვითარების პერსპექტივა დაუბრუნა.

„ქართული აკადემია“ ულოცავს თავის დამფუძნებელ და აქტიურ წევრს, ბ-ნ **მალხაზ ზაალიშვილს**, სასახელო თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და მისთვის დამახასიათებელ უანგარო მოღვაწეობას ქართული მეცნიერებისა და საქართველოს სამსახურში.

„ქართული აკადემია“

◎ ჯანდაცვა

გრიპის შემთხვევები ოქტომბრის ბოლოდან მოიმატებს

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განმარტა, მიმდინარე წელს ვირუსის ახალი შტამი მოსალოდნელი არ არის და გასული წლების მსგავსად, ღორის გრიპის H1N1 და H3N2 შტამების ნაირსახეობებია მოსალოდნელი. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ცნობით, მოსახლეობის ინფორმირებისთვის მუშავდება რეკომენდაციები, რომელიც მომავალ კვირას ინტერნეტით და მედიის საშუალებით გავრცელდება.

ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ თუ პაციენტს მაღალი ტემპერატურა ექნება, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს. ასევე, მწვავე რესპირატორული დაავადების თავიდან ასაცილებლად, ხშირად უნდა განიავდეს ბინა და დახურული სივრცე. სველი წესით უნდა დამუშავდეს და დალაგდეს სამუშაო გარემო.

წითელას ვაქცინაციები უფასოა

წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია 14 წლამდე ასაკის მოზარდებსაც უფასოდ ჩაუტარდებათ. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, წითელას ეპიდემია აღარ არსებობს და დღეში საშუალოდ 3 შემთხვევა ფიქსირდება.

ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, მუშავდება მეთოდური რეკომენდაცია და რეგიონებში იმ მოზარდების რაოდენობას ადგენენ, რომელთა ასაკი 14 წლამდეა და წითელას ვაქცინაცია გამოტოვებული აქვთ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს წითელას ვაქცინაციის მარაგის შესავსებად.

გამყრელიძის ინფორმაციით, ვაქცინაცია ქვეყანაში ტრადიციული პარტნიორის-გაერო-ს ბავშვთა ფონდის საშულებით შეივსება.

ვაქცინის ახალი პარტიის შემოტანამდე კი, 14 წლამდე მოზარდების აცრები იმ მარაგიდან მოხდება, რომელიც აქამდე არსებობდა და გეგმურად 7 წლამდე ასაკის ბავშვების აცრა ხდებოდა.

ინტერპრესი

◎ თბილისობა

ოქტომბერში საქეიფოდ, სამხიარულოდ ყოველთვის მობრძანდით!..

ოქტომბრის პირველი დღეებისთვის უჩვეულოდ გრილი ამინდის მიუხედავად, დედაქალაქის უკვე ტრადიციულად ქცეული, რიგით 34-ე თბილისობამ ამ ჯერზეც მრავალფეროვნად, მხიარულად, საინტერესოდ და, რაც მთავარია, უაღრესად გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა.

„თბილისობა-2013“ 4 ოქტომბერს, პარასკევს ჯანსუღ კახიძის სახელობის პარკში ახალი ორკესტრების კონკურსით დაიწყო, უქმეებზე კი გორგასლის მოედანზე საწნახელში ერთობლივად ღვინის დაწურვით, მეტეხის ხიდთან გამართული ავტოშოუთი, მტკვარზე ტივების დაცურებით, ქალაქის ძველ უბნებში თეატრალიზებული, ასევე თანამედროვე და ფოლკლორული ანსამბლების წარმოდგენებით, ნაირ-ნაირი სამოყვარულო ტურნირებით და ფესტივალებით, პოეტური საღამოებით გაგრძელდა.

თბილისობა, რომელიც, აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია, ტრადიციულად ოქტომბრის პირველი კვირის მიწურულს იმართება ხოლმე, მუდამ დიდძალ ხალხს მასპინძლობს — ზეიმობენ თბილისელები, ქვეყნის ყველა კუთხიდან საგანგებოდ ჩამოსული და უცხოელი სტუმრები, რომლებიც წლეულს განსაკუთრებით მრავლად, ხშირად მთელი ოჯახებით იყვნენ ჩამობრძანებულები. ბუნებრივია, დღესასწაულის ვრცელი პროგრამის ყველა ღონისძიებაზე დასწრება, რომლებიც დედაქალაქის სხვადასხვა უბანში გაიმართა, სხვა თუ არაფერი, ფიზიკურად შეუძლებელი იყო. მაგრამ მათ, ვინც გარკვეული თადარიგი დაიჭირა და თბილისობის პროგრამას წინასწარვე გაეცნო, მათთვის უფრო მიმზიდველ სანახაობაზე დასწრება თავისუფლად შეძლეს. ამდენად, ფაქტობრივად, არც ერთ ღონისძიებას აღფრთოვანებული ადგილობრივი თუ უცხოელი მაყურებელი არ მოკლებია. მათ შორის აუარება ხალხი დაესწრო გორგასლის მოედანზე ნარდისა და ჭადრაკის ტურნირებს, ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და ბავშვთა ანსამბლების „როკვის“, „ჩოხოსნებისა“ და „პატარა მედოლეების“ კონცერტს, სიონის სკვერში ჩაის ფესტივალსა და რიყის პარკის ამფითეატრში ახალგაზრდა პოეტების შეხვედრას, ევროპის მოედანზე ოთარ რამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტს, ხუდადოვის ქუჩაზე ზურაბ შევარდნაძის ყვავილების ფესტივალს, რომელზეც გადაშენებული, მაგრამ ამჟამად მისივე აღორძინებული ქართული ვაზის უძველესი ჯიში იყო წარმოდგენილი, მუშტაიდის ბაღში პარაოლიმპიურ მშვილდოსნობას, საპატიო თბილისელის წოდებით დაჯილდოებას...

ყველაფრის ჩამოთვლა, ცხადია, შეუძლებელია, თუმცა კი კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ დღესასწაული შინაარსითაც და სანახაობრივადაც მეტად მიმზიდველი იყო და მნახველთა დიდი მოწონებაც სავსებით სამართლიანად დაიმსახურა, თუმცა კი ზოგი რამ, ცოტა არ იყოს, გულდასაწყვეტიც იყო. მათ შორის ყურადღება, უწინარესად, იმ გარემოებამ მიიპყრო, რომ სადღესასწაულო-სამხიარულო სუფრებს არა იმდენად თბილისელები, არამედ უმეტესწილად უფრო დედაქალაქის უცხოელი სტუმრები უსხდნენ — საერთო მატერიალურმა სიდუხჭირემ აქაც იჩინა თავი. როგორც ჩანს, ისევ გარკვეულ გაჭირვებას უნდა მივაწეროთ ისიც, რომ გორგასლის მოედანზე, ვიდრე ყურძენს ხის საწნახელში ჩაყრიდნენ, ზოგიერთმა ვაი-თბილისელმა, რომელიც ჭირნახულის სახლში წასაღებად ტომრებით აღჭურვილი მოვიდა, ამის გამო კაი გვარიანი ზედახორაც მოაწყო... ასეთ საზეიმო განწყობას მსგავსი ულაზათო სურათი ნამდვილად არ მოუხდა, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ ამას და სხვა წვრილმან სიმახინჯეს დღესასწაულისგან მიღებული სიამოვნებისთვის არაფერი დაუკლია.

ოთარ ტურაგელიძე,

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილი დაგვპირდა ხელისუფლებაში დაბრუნდეს თავის პარტიასთან ერთად

საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს, დევნისგან იმუნიტეტი მიიღოს

მიხეილ სააკაშვილის პარტია, რომელმაც მარცხი განიცადა შარშან პარლამენტის არჩევნებში, არის განახლების პროცესში და აგრძელებს აქტიურ საქმიანობას — ასეთი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობის ძირითადი გზავნილი. ყრილობა თბილისში 5 ოქტომბერს გაიმართა. კერძოდ, პრეზიდენტის არჩევნებზე საქართველოში 27 ოქტომბერს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ იმედი აქვს, დაიკავოს მეორე ადგილი, რათა შეინარჩუნოს მთავარი ოპოზიციური ძალის პლატფორმა.

სააკაშვილმა, რომელმაც შეინარჩუნა პარტიის თავმჯდომარის პოსტი, მოახდინა თავისი განზრახვის დეკლარირება — აიღოს რევანში. თბილისის სპორტის სასახლეში თავისი მომხრეების წინაშე გამოსვლის დროს პრეზიდენტმა აღიარა, რომ შარშან, როდესაც ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა, თავის თავს უთხრა: „ეს არ არის დასასრული. ეს არის გზის დასაწყისი ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის“.

ახალი პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, ქვეყნის ფაქტობრივი ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრი იქნება. მას ასახელებს პარტია, რომელმაც პარლამენტის არჩევნებში ხმების უმრავლესობა მიიღო. „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი გვპირდება ახალ წლამდე დატოვოს კაბინეტის ხელმძღვანელის პოსტი და დაასახელა მემკვიდრე მმართველი კოალიციიდან. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შემდეგი არჩევნები 2016 წელს უნდა გაიმართოს.

მაგრამ სააკაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე დაგვპირდა, რომ შეეცდება, დაიბრუნოს ხელისუფლება ვადამდე: „ეჭვი მაქვს, რომ, ვითარებათა გათვალისწინებით, პროცესი შეიძლება დაჩქარდეს“. თუ როგორ, საქართველოს პრეზიდენტს ამის შესახებ არ უსაუბრია.

— არ არის არანაირი საფუძველი ვილაპარაკოთ, რომ პარლამენტის ახალი არჩევნები ვადაზე ადრე გაიმართება. სააკაშვილი ჩვეულებრივ პიარს ეწევა. აი, დაინახავთ კიდეც — პრეზიდენტის არჩევნები გვიჩვენებს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი 40 პროცენტზე ბევრად დაბლაა, რომელიც ამ პარტიამ შარშანდელ კენჭისყრაზე მიიღო პარლამენტის არჩევნებში. კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ გიორგი მარგველაშვილი დამაჯერებლად გაიმარჯვებს, — განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა მმართველი კოალიციიდან ლევან ბერძენიშვილმა.

საინტერესოა, რომ ამ ზაფხულს საქართველოს თავად პრეზიდენტის მომხრეები ამბობდნენ, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ჰაერივით სჭირდება რებრენდინგი. ფრაქცია „მაჟორიტარი დეპუტატის“ ხელმძღვანელი ამ პარტიიდან საქართველოს პარლამენტში აკაკი ბობოხიძე სააკაშვილს სთავაზობდა კიდეც დაეტოვებინა მოძრაობის თავმჯდომარის პოსტი. ხოლო 21 მაისიდან პატიმრობაში მყოფ პრემიერ-მინისტრს ივანე მერაბიშვილს (მას 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება გამოძიების მიერ წაყენებული ბრალდებების მთელი კომპლექსისთვის) — გენერალური მდივნის თანამდებობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების პოლიტიკური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისთვის. მაგრამ ორივე ადგილზე დარჩა.

ამასთანავე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე გამოცხადდა გადაწყვეტილებათა მიღების ოპერატიული ორგანოს შექმნის შესახებ — პოლიტსაბჭოსი, რომელსაც სათავეში ჩაუდგება დეპუტატი და პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე. „ქართული ოცნება“ ამასაც მიიჩნევს პრობლემების არსებობად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“.

„მათს პარტიაში, როდესაც სააკაშვილი უკვე აღარ იქნება პრეზიდენტი, დაიწყება ორხელისუფლებიანობა. იქნება შინაგანი კონკურენცია რადიკალებისა და ეგრეთ წოდებული ზომიერების — ბაქრაძის გუნდის — ჯგუფებს შორის“, — მიაჩნია ლევან ბერძენიშვილს.

საქართველოს დამოუკიდებელი ექსპერტების კლუბის წევრის რამაზ საყვარელიძის სიტყვებით კი, სააკაშვილმა გადაწყვიტა, დარჩეს მოძრაობის ხელმძღვანელად არა მხოლოდ საკუთარი ამბიციებისა და რევანშისტული განწყობილების გამო, არამედ იმისთვისაც, რომ უზრუნველყოს იმუნიტეტი თავისი თავისთვის სამომავლოდ.

— თუ მისადმი სამართალდაცვის ორგანოებს გაუჩნდებათ შეკითხვები, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მთელი მსოფლიოს გასაგონად იყვირებს, რომ ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი დაპატიმრებულია, ახლა კი სდევნიან მის თავმჯდომარესაცო, — მიაჩნია საყვარელიძეს.

სააკაშვილი, როდესაც დატოვებს პრეზიდენტის პოსტს, ვერ ისარგებლებს აბსოლუტური იმუნიტეტით, და თბილისში უკვე დიდი ხანია საუბრობენ, რომ იგი შეიძლება დაკითხონ ზოგიერთ რეზონანსულ საქმესთან დაკავშირებით 2004-2012 წლებში ხელისუფლების სათავეში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნის პერიოდში. უწინარეს ყოვლისა — 2005 წელს მაშინდელი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საიდუმლოების შესახებ. — პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ კიდევ სამი თვის განმავლობაში სააკაშვილი კვლავ ხშირად გამოჩნდება საჯაროდ და ტელეეკრანებზე, მაგრამ შემდეგ დამოკიდებულება მისადმი გახდება როგორც ვადაგასული პროდუქტისადმი, — მიაჩნია ბერძენიშვილს.

რაც შეეხება სისხლის სამართლის დევნას, დღევანდელ საქართველოში, პოლიტიკოსის აზრით, არანაირი თანამდებობა არ ითვლება იმუნიტეტად.

— ეს „ქართული ოცნების“ ბრალია, რომ დღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავს აძლევს ნებას გამართოს ყრილობა, — განაცხადა პარლამენტის ექსპიკერმა ნინო ბურჯანაძემ. — შარშან ხალხმა პარლამენტის არჩევნებზე „ნაციონალებს“ პოლიტიკური დაკრძალვა მოუწყო. „ქართულმა ოცნებამ“ კი მისცა მათ აღდგომის საშუალება.

ბურჯანაძეც კენჭს იყრის პრეზიდენტობაზე, აქვს მეტად სერიოზული მხარდაჭერა და გვპირდება გამარჯვების შემთხვევაში უზრუნველყოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის სამართლიანი გამოძიება ამ პარტიის თვით აკრძალვამდე.

ИЗВЕСТИЯ

დედამიწის ზურგზე

სირიის ქიმიური განიარაღების ფონზე ლავროვმა და კერიმ დაასახელეს ჟენევაში სამშვიდობო კონფერენციის ვადები

ჯერ კიდევ საჭიროა, ჩამოყალიბდეს დელეგაციებისა და გარეშე მონაწილეების შემადგენლობა — ამ საქმისთვის უახლოეს დღეებში იზრუნებენ. „ჟენევა-2“-ის საბოლოო თარიღს განსაზღვრავს გაერო, კერძოდ, გენერალური მდივანი პან გი მუნი და მისი სპეციალური წარმომადგენელი სირიაში ლაჰდარ ბრახიმი. ამ უკანასკნელმა მხოლოდ წინა დღით განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ არის ცნობილი, გაიმართება თუ არა მოლაპარაკება ჟენევაში.

ეგვიპტეში პოლიციასა და მურსის მომხრეთა შორის შეტაკების დროს 50 კაცი დაიღუპა

წინა დღით ქვეყანაში გაიმართა ზეიმი არაბეთ-ისრაელის 1973 წლის ომის დაწყების 40 წლისთავთან დაკავშირებით. ამ თარიღს მიუძღვნეს თავისი მიტინგები „მუსლიმმა ძმებმა“ — ქუჩის აქციები გაიმართა მთელ ქვეყანაში, მათ შორის კაიროშიც. ეგვიპტის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, დაიჭრა 240-ზე მეტი ადამიანი.

შვედეთში გაიხსნა 112-ე ნობელის კვირეული: ნომინანტები ფიზიოლოგიასა და მედიცინაში

სამშაბათს, 8 ოქტომბერს, შვედეთის დედაქალაქში გამოცხადდება ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება ფიზიკის დარგში, 9 ოქტომბერს — ქიმიაში. 11 ოქტომბერს ოსლოში დაასახელებენ მშვიდობის პრემიის ლაურეატს. „ეკონომიკაში ნობელის ხსოვნის პრემიის“ მფლობელი, პრემიისა, რომელიც შვედეთის ბანკმა დააწესა 1968 წელს, გაირკვევა 14 ოქტომბერს.

ყაზახეთმა გაამართლა რუსული „პროგონები“ საიგების დაღუპვაში

სექტემბერში ყორგალჟინის სახელმწიფო ნაკრძალში თითქმის 800 საიგა დაიღუპა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ცხოველთა მასობრივი დახოცვის მიზეზი პასტერელეზი გახდა. რესპუბლიკაში აქამდეც არაერთგზის მოხდა საიგების მასობრივი დაღუპვა. ყოველთვის ზოგიერთი ეკოლოგი ასახელებდა ვერსიას, რომ მათი დახოცვის მიზეზი გახდა საიგების მოწამვლა ჰეპტილით.

◎ არ არის მშვიდობა აბრსკილის მიწაზე

აფხაზეთის თავზე ცა იქუფრება!..

„დამოუკიდებელ აფხაზეთში“ ზარზეიმით აღნიშნეს საქართველოზე გამარჯვების 20 წლისთავი. მთავარი ღონისძიება სამხედრო აღლუმი გახდა და სწორედ მას მოჰყვა ყველაზე დიდი ვნებათაღელვა, რომელიც იმ საზოგადოებაში მომწიფებულ შიდა კონფლიქტზეც მეტყველებს, ისევე როგორც „აფხაზური სახელმწიფოებრიობის“ წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

აფხაზმა ბლოგერებმა შენიშნეს, რომ მათი პრეზიდენტი, ალექსანდრე ზოლოტინსკის ძე ანქვაბი, მეტისმეტად მსუქნად გამოიყურებოდა. ამის გამო გაკვირვებას ვერ მალავდნენ. ის არ უკვირთ, რომ პრეზიდენტის ბაბუამ თავის შვილს აფხაზეთში მოღვაწე რუსი ინჟინრის გვარი (ზოლოტინსკი) სახელად დაარქვა. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო გაერკვიათ, რა დაემართა ანქვაბს, რომ ესოდენ უცბად მოიმატა წონაში. არადა, არაფერიც არ დაემართა: მსუქნად კი მხოლოდ იმიტომ გამოიყურებოდა, რომ... ჯავშანჟილეტი ეცვა!

როგორია? „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ პრეზიდენტი, რომლის ქვეყანას ზესახელმწიფოს არმია იცავს მთელი მისი მრისხანე ძლევამოსილებით, „დამოუკიდებლობის“ 20 წლისთავზე სეფე სიტყვით გამოსვლისას ჯავშანჟილეტს იცვამს, რათა ვინმე თვალჩუბინმა სნაიპერმა ტრიბუნაზეევ არ „გააგოროს“.

მაინც ვინ? ქართველებმა? ქართველებს რომ ამის შნო გვქონოდა, იმ ომს არ წავაგებდით. თანაც ისე, როგორც წავაგეთ ჯერ 1993, მერე 2008 წელს. აქ უფრო სხვა რამეშია საქმე: რუსები არ იმჩნევენ, თორემ სოხუმში მათი საელჩოს პირველი მდივნის, ვიცე-კონსულ დიმიტრი ვიშერნიოვის მკვლელობამ ისინი უბრალოდ გააცოფა. მოსკოვში ძალიან კარგად იციან, რომ მკვლელობა აფხაზების ნახელავია, ხოლო ჭკუანაღრძობი ჩეჩენი იუსუპ ლაკაევი, ვისაც ოფიციალურად ბრალდება ქილერობა, მხოლოდ შემსრულებელია.

რუსები იმასაც ხვდებიან, რომ მკვლელობის მიზეზი იყო ვიშერნიოვის მცდელობა, აღედგინა აფხაზეთში ომამდელი დემოგრაფიული ვითარება ეთნიკური რუსების სასარგებლოდ. გარდა ამისა, ვიშერნიოვი ძლიერად „აწვებოდა“ აფხაზურ ხელისუფლებას ბინების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის საკითხში: „თქვენ მართლა დამოუკიდებლები ხომ არ გგონიათ თავი, ახლავე გააუქმეთ ყოველგვარი აკრძალვა რუსეთის მოქალაქეებისათვის უძრავი ქონების მიყიდვაზე, თორემ გრანტებსაც შეგიწყვეტთ და ბლოკადასაც გამოგიცხადებთო“.

თავის მხრივ, ალექსანდრე ანქვაბმაც იცის, რომ იმ ექვსი თავდასხმიდან, რომელსაც ადრეულ წლებში გადაურჩა, ექვსივე რუსული სპეცსამსახურების ორგანიზებული იყო. ბუნებრივია, მეშვიდესაც არ გამორიცხავს. მით უმეტეს, რომ არანაირ დათმობაზე არ მიდის არც ბინების, არც პუტინის ადმინისტრაციისათვის ყოფილი საბჭოთა სანატორიუმების გადაცემის საკითხში. ამიტომ, სულაც არ იყო გამორიცხული, იქვე, პარადზე „გაესაღებინათ“. არადა, რა „ლოკვას“ არ მიმართა „ამაყი და თავისუფალი აფხაზეთის“ პრეზიდენტმა: როცა სეფე სიტყვაში საქართველოსთან ომზე ლაპარაკობდა, ჩერქეზი მოხალისეები (ანუ მთავარი იმდროინდელი მოკავშირეები) არც უხსენებია, რათა მოსკოვი არ გაეღიზიანებინა. ბევრად მეტი კრასნოდარის მხარეზე ისაუბრა და კიდევ — კაზაკებზე.

ამასთანავე, „ამაყი და თავისუფალი აფხაზეთის“ სამხედრო აღლუმზე გამოჩნდა უსაზიზღრესი შოვინისტური ორგანიზაცია Чёрная сотня-ს კოლონა. „შავრაზმელებმა“ ტრიბუნის წინ ჩაიარეს და მათ ხელსაც უქნევდა აფხაზეთის ხელმძღვანელობა. ამაზე მეტი თავსლაფდასხმა და სულში ჩაფურთხება კავკასიელი მთიელებისათვის წარმოუდგენელია. მაგრამ ანქვაბმა, დიადი მიზნისათვის, ესე იგი რუსეთის გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად, ესეც „მოიწმინდა“. ადგილობრივ ბლოგებში ძალიან კი ლანძღეს, მაგრამ აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრომ ასე განმარტა: იმ შავრაზმელთა დიდი ნაწილი, ან მათი მამები (?!!!) საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ და რაღა გვექნაო.

სამხედრო აღლუმს მცირე ხნით ვლადისლავ სურკოვიც დაესწრო, რომელიც პრეზიდენტმა პუტინმა ამას წინათ კრემლში დააბრუნა და საქართველოს სეპარატისტულ რეგიონთა კურირება დაავალა. სურკოვმა, ხანმოკლე შეხვედრისას, ანქვაბს ულტიმატუმი წაუყენა: უახლოეს მომავალში მოხსნი ყოველგვარ შეზღუდვას ბინების ყიდვა-გაყიდვაზე, დააბრუნებ ეთნიკურ რუსებს, გადმოგვცემ საბჭოთა სანატორიუმებს, ჩაახშობ ეკლესიურ სეპარატიზმს, ანუ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსკენ ლტოლვას, გადასცემ რუსეთის ეკლესიას ახალი ათონის მონასტერს, თორემ რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი ჩაიკეტება (სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების საბაბით) და აღარც გაიხსნება ოლიმპიადის დასრულების შემდეგო. რაც შეეხება აფხაზეთში მცხოვრებ რუსებს, ისინი რუსული სამხედრო ბაზის თანამშრომლებად არიან გაფორმებულნი და, საზღვრის ჩაკეტვის მიუხედავად, რუსეთში მოგზაურობას მაინც შეძლებენ — გუდაუთის სამხედრო აეროპორტიდან.

რა ექნა „ამაყი და თავისუფალი“ აფხაზეთის პრეზიდენტ ანქვაბს? შეპირდა კრემლის ემისარს, რომ ყველა გადაწყვეტილებას აუცილებლად მიიღებს. არადა, ვერ მიიღებს, რაკი აფხაზეთში ეს სამოქალაქო ომს გამოიწვევს. ამიტომ, უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ აფხაზური მხრიდან სიგნალებს თბილისის მიმართ, ვითომდაც „დიალოგისათვის მზადყოფნის“ თაობაზე. თუმცა ამ მესიჯთა მიზანი მხოლოდ ის იქნება, მოსკოვი დააშანტაჟონ: თუ ჩვენზე ზეწოლას არ შეწყვეტთ, თქვენს ჯინაზე საქართველოსაც კი დაველაპარაკებით, მაგრამ რეალურ დათმობაზე (თუნდაც ლტოლვილთა საკითხში) არც მათთან წავალთო.

ამ ხრიკისათვის აფხაზ სეპარატისტებს ადრეც ბევრჯერ მიუმართავთ; მათ კარგად იციან, რომ თუნდაც სიმბოლური ნაბიჯები თბილისის მიმართულებით, ანტიქართულად განწყობილი რუსული საზოგადოების გაღიზიანებას გამოიწვევს და ეს გაღიზიანება პუტინის ადმინისტრაციის წინააღმდეგ იქნება მიმართული: „ანტიქართველ მოკავშირეებს ვკარგავთ ჩვენი ხელისუფლების უნაითობის წყალობითო“. ოღონდ, ისევ და ისევ ვიმეორებ, რომ სოხუმის სიგნალები (პირველი სიმპტომები უკვე გაჩნდა) სულაც არ ნიშნავს, რაიმე დათმობას საქართველოს მიმართ არც ფუნდამენტურ და არც მეორეხარისხოვან საკითხებში, როგორიცაა თუნდაც გალის რაიონში ქართულ ენაზე სწავლება, ან ზუგდიდი-გალის სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენა და ა.შ.

ასეთი ფანდისათვის სეპარატისტებს მართლაც არაერთხელ მიუმართავთ და ყოველთვის „გასვლიათ“. დღესაც გაუვათ - ამჟამინდელ მთავრობაში მოკალათებული ერთი „სასარგებლო იდიოტის“ წყალობით, ვისაც ვერაფრით შეაგნებინებ, რომ სინამდვილეში ჩვენი თვისებრივი მტერი არის არა რუსეთი, არამედ აფხაზური და ოსური სეპარატიზმი. რუსეთი მათ იყენებს, მაგრამ მაინც მეორადია. ხოლო სეპარატისტთა ასწლოვანი (!) ზიზღი და სიძულვილი საქართველოს მიმართ — პირველადი!

თუმცა ეს უკვე სულ სხვა საუბრის თემაა.

მიხეილ გეწაძე,
ХО-ЭОВ-ЭЕО

◎ კიდევ ერთი აღიარება

უკრაინული ჯილდო — ქართველ „უკრაინელს“

უკრაინის ლიტერატურის ეროვნულ მუზეუმში გაიმართა რაულ ჩილაჩავას საავტორო საღამო, რომელზეც მან დიპლომატიური სამსახურის დამთავრების შემდეგ გამოცემული ცხრა ახალი წიგნი წარუდგინა ხალხმრავალ აუდიტორიას. საღამოზე მწერალს საზეიმოდ გადაეცა გრიგორი სკოვოროდას სახელობის საერთაშორისო პრემია **„ღვთაებრივი სიმღერების ბაღი“.** პრემიის დამფუძნებლები არიან უკრაინის ეროვნული მწერალთა კავშირი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ტარას შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

გრიგორი სკოვოროდა, რომლის სახელსაც პრემია ატარებს, უკრაინული მწერლობის ერთ-ერთი მესაძირკვლე, გამოჩენილი პოეტი, ფილოსოფოსი და იგავთმწერალია, უკრაინელთა სულხან-საბაა.

ჟიურის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ **„ჯილდოვდება ქართველი და უკრაინელი მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერი, დიპლომატი რაულ ჩილაჩავა (ქ. კიევი) უკრაინულ ლიტერატურაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის“.** ყოველწლიურად ასეთი ფორმულირებით გაიცემა მხოლოდ ერთი პრემია (როგორც გრან-პრი) და, როგორც წესი, მისი მფლობელის სახელი და გვარი ხსნის ლაურეატთა სიას.

სურათზე: საღამოს მსვლელობისას პრემიას გადასცემს ჟიურის თანათავმჯდომარე, მწერალი სერგეი ძიუბა.

„სრ“ რედაქციისაბან: ყველა ჭეშმარიტი ქართველისთვის, შენი ნიჭისა და კაცობის თაყვანისმცემლებისთვის, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-უკრაინული ძმობის დამფასებელთათვის, ამაზე სასიამოვნო და ძვირფასი ინფორმაცია რა უნდა იყოს, ჩვენო რაულ?! მოგვილოცნია ეს დიდი ჯილდო, გვისურვებია შენთვის ახალ-ახალი წარმატებები, ხოლო ამ წარმატებების გაშუქება, კვლავაც ჩვენზე იყოს!

◎ ალიან-ჩალიანი

ღარიბაშვილის ნათესავს ნაციონალი კალაშოვი არ უცემია!

სიცრუეა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი კახა კალაშოვი შინაგან საქმეთა მინისტრის ნათესავმა სცემა, — ამის შესახებ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა.

ამასთან, კალაშოვის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა. სამინისტროს ცნობით, შსს-ს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა გუშინ თემქის დასახლებაში კახა კალაშოვის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ კახა კალაშოვს თემქის დასახლებაში სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა რამდენიმე პირთან, რაც ფიზიკურ კონფლიქტში გადაიზარდა. აღნიშნულ ფაქტზე, ადგილზე საპატრულო პოლიცია და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლები გამოცხადდნენ. შსს-ს ცნობით, საქმესთან დაკავშირებით, უკვე დაკითხულია კახა კალაშოვი. დადგენილია ინციდენტში მონაწილე სამი პირი, რომლებიც ასევე დაიკითხნენ. გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ფაქტზე საქართველოს სსსკ-ს 120-ე მუხლით მიმდინარეობს.

დანაშაულმა ნამდვილად იკლო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წლის 9 თვის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. შსს-ს ინფორმაციით, მონაცემები ასახავს კრიმინოგენურ მდგომარეობას ქვეყნის მასშტაბით. სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 5589 ერთეულით იკლო, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 37,2%-ით მოიმატა და 57,2%-ს შეადგენს.

შსს ასევე აქვეყნებს სექტემბრის თვის დანაშაულის სტატისტიკას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონების მიხედვით. 2013 წელს, სექტემბრის თვეში ქვეყნის მასშტაბით ფიქსირდება დანაშაულის კლება 644 ერთეულით, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 68,4%-ს შეადგენს და 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 55,5 %-ით მოიმატა.

ინტერპრესი

◎ ჭადრაკი

ბაციაშვილი პირველია

პოლონურ ვროცლავში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო წრიული ტურნირი. შეჯიბრებაში ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობდა. განსაკუთრებით ნინო ბაციაშვილმა იყოჩაღა – ცხრა შესაძლებლიდან 6.5 ქულას მოუყარა თავი და პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულა მოაგროვა მასპინძელმა იოანა მაიდან-გაევსკამ, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით მეორე ადგილი ერგო. 5-5 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები კარინა ჰოროვსკამ (პოლონეთი) და სოფიკო გურამიშვილმა გაინაწილეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 2006 წლის ევროპის ჩემპიონი ეკატერინა ატალიკი (თურქეთი, 4.5), ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი, 4.5), მონიკა სოჩკო (პოლონეთი, 4), იოანა ზავადსკა (პოლონეთი, 3.5), საბრინა გუტიერეს ვეგა (ესპანეთი, 3.5), მარტა მიხნა (გერმანია, 2).

გივი გაგუა

სურათზე: ნინო ბაციაშვილი.

◎ ჭიდაობა

სამივე სინჯის მედლით

სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა. მძიმე წონაში ქართული ფინალი გაიმართა: დავით მოძმანაშვილმა ზედიზედ სძლია სომეხ ჰამლეტ აბრაჰამიანს (6-0), რუსეთის რეგიონული ნაკრებების წევრებს - ედუარდ კოდალაევსა (7-0) და უვარომ ტიმოფეევს (3:1), ნახევარფინალში კი ირანელი გომი ავილი ჩამოიშორა გზიდან. თორნიკე ხიდეშელმა ამერიკელ მეთიუ მიულენერსს (7-0), სლოვაკეთის სახელით მოჭიდავე სოსლან გაგლოევსა (11-3) და ირანელ ჰაშაიარ დეჰეშტანს (6:5) აჯობა. გადამწყვეტ პაექრობაში მოძმანაშვილმა იმარჯვა - 8:0. 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში ელიზბარ ოდიკაძემ მესამე ადგილი დაიკავა. ბრინჯაოსთვის გადამწყვეტი პაექრობა მან ყაბარდოელ მარატ შოგენოვს მოუგო (8-0).ზემოთ დასახელებული სამეულის გარდა, ტურნირში კოტე ხუციშვილი (55 კგ), ტრისტან ჩირგაძე (60 კგ), გიორგი მარსაგიშვილი (74 კგ) და ოთარ ურატაძეც (84 კგ) მონაწილეობდნენ, მაგრამ მედლებს ვერ შესწვდნენ.

* * *

თავისუფალ ჭიდაობაში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ იაკუტსკში ეროვნულ ჭიდაობა ხაპსაგაის ტრადიციული ტურნირი გაიმართა. აბსოლუტურ წონაში 30 მონაწილეს შორის ყველას დავით მოძმანაშვილმა აჯობა – ფინალში მან მასპინძელი ბალდან ჩიჟიპოვი დაამარცხა.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: მარცხნივ – დავით მოძმანაშვილი.

◎ წყალბურთი

„ივერია“ ჩემპიონია

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დამთავრდა 1998-1999 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა. ორწრიანი შეხვედრების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. „ივერიის“ პირველმა გუნდმა „ქუთაისი“ დაამარცხა - 17:8, ხოლო „ლიგამუსმა“ მშრალი ანგარიშით სძლია „ივერია-2-ს“ 16:0. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში „ივერია-1-მა“ (ნიკა ლეთოდიანი, გიორგი მაგრაქველიძე, ლუკა სხილაძე, ნიკა ცანკაშვილი, გიორგი თეთრაძე, ნუკრი სებისკვერაძე, ირაკლი მარგველაშვილი, ნიკა შუშიაშვილი, ილია კაპანაძე, სანდრო დადიანი, აკაკი გახოკიძე, ლევან ხოხაშვილი, მწვრთნელები – ბორის მეგედი, ოთარ ქოიავა) „ლიგამუსს“ მოუგო 7:5 და ოქროს მედალი მოიპოვა, „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში „ქუთაისმა“ „ივერია-2-ს“ აჯობა – 16:2.

ლაშა დიდია

სურათზე: „ივერია“.

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

საქართველოს XXV ეროვნული ჩემპიონატის VIII ტური. „სიონი“ – „დინამო“ 1:4, „გურია“ – „დილა“ 2:0, „მერანი“ – „ტორპედო“ 0:3, „ჩიხურა“ – „ცხინვალი“ 2:1, „ბაია“ – „ზესტაფონი“ 0:3, „ვიტ ჯორჯია“ – „მეტალურგი“ 5:2.

სატურნირო მდგომარეობა. „დინამო“ – 19, „ტორპედო“ – 18, „ჩიხურა“ – 16, „გურია“, „მერანი“ – 12-12, „დილა“, „ვიტ ჯორჯია“, „მეტალურგი“ – 11-11, „ზესტაფონი“ – 10, „სიონი“ – 8, „ბაია“ – 5, „ცხინვალი“ – 3 ქულა.

ბომბარდირები: ტატანაშვილი („ჩიხურა“) – 7, გოგა („დინამო“) – 6, მოდებაძე („დილა“) – 5 გოლი.

20 ოქტომბერს ითამაშებენ: „დინამო“ – „ჩიხურა“, „ტორპედო“ – „სიონი“, „დილა“ – „ბაია“, „ცხინვალი“ – „გურია“, „მეტალურგი“ – „მერანი“, „ზესტაფონი“ – „ვიტ ჯორჯია“.

* * *

იტალია. „იუვენტუსი“ – „მილანი“ 3:2, „ინტერი“ – „რომა“ 0:3, „ლაციო“ – „ფიორენტინა“ 0:0, „ნაპოლი“ – „ლივორნო“ 4:0.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „ვალიადოლიდი“ 4:1, „ლევანტე“ – „რეალი“ 2:3, „ატლეტიკო“ – „სელტა“ 2:1, „ბილბაო“ – „ვალენსია“ 1:1.

ინგლისი. „ვესტ ბრომვიჩი“ – „არსენალი“ 1:1, „ნორვიჩი“ – „ჩელსი“ 1:3, „ტოტენჰემი“ – „ვესტ ჰემი“ 0:3, „ლივერპული“ – „სანდერლენდი“ 3:1.

გერმანია. „ლევერკუზენი“ – „ბაიერნი“ 1:1, „გლადბახი“ – „ბორუსია“ 2:0, „შალკე“ – „აუგსბურგი“ 4:1, „ფრაიბურგი“ – „ჰამბურგი“ 0:5.

საფრანგეთი. „მარსელი“ – „პარი სერ-ჟერმენი“ 1:2, „მონაკო“ – „ბასტია“ 2:1, „მონპელიე“ – „ლიონი“ 5:1.

მანუჩარ გიორგაძე

◎ SIC!

„გმირი“ ოკუპანტი – ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში

სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი მეჩირაღდნე 2008 წლის აგვისტოს ომის „გმირი“, რუსი სამხედრო მფრინავი ივან ნიჩაევი იქნება. ამის შესახებ რუსული ტელეკომპანია „როსსია“ იუწყება.

როგორც ტელეკომპანიის მიერ მომზადებულ სიუჟეტშია ნათქვამი, ნიჩაევი 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდა. სამხედრო თვითმფრინავი, რომელსაც ის მართავდა, დაზიანეს, თუმცა, პილოტმა დავალება შეასრულა და ავიაბაზაზე თვითმფრინავის დაშვება შეძლო.

როგორც ივან ნიჩაევი აცხადებს, დარწმუნებულია, რომ ყველაფერს ღირსეულად გაართმევს თავს, თუმცა გარკვეული მღელვარებაც აქვს. „ეს არის ისტორიული მომენტი ჩემი და ჩემი ქვეყნის ცხოვრებაში“,– განაცხადა ნიჩაევმა.

* * *

საქართველოს მთავრობა სპორტული თამაშების „ზედმეტი პოლიტიზაციის შემთხვევაში შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს“, – ამის შესახებ მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გვთავაზობს.

„ყველას კარგად ესმის, რომ საქართველოს რეგიონების ოკუპაციის ფონზე სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ოლიმპიური გუნდის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება უკიდურესად რთული მისაღები იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით გამოხატა კეთილი ნება და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თანამიმდევრული მოწესრიგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაში.

ვთვლიდით და ახლაც ვთვლით, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ორივე ქვეყნის მოქალაქეებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ რთულ გზაზე კი აუცილებელია ურთიერთობის ისეთი სფეროების გამოკვეთა, რომლებიც ნაკლებად წინააღმდეგობრივია და ასევე ნაკლებად უკავშირდება საქართველო-რუსეთის ძირითად პრობლემებს. ასეთებად ჩვენ მივიჩნევთ კულტურას, ვაჭრობას, სატრანსპორტო კავშირებს, ტურიზმსა და სპორტს.

სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან საქართველოს კეთილი ნება ჯერ კიდევ ვერ ან არ არის სათანადოდ შეფასებული და შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენციები. მაშინ, როდესაც ჩვენი სურვილია ოლიმპიური თამაშების დეპოლიტიზაცია და მონაწილეობის მიღება ჯანსაღ სპორტულ შეჯიბრებაში, რადგან ოლიმპიური იდეა სწორედ მშვიდობასა და თანამშრომლობას ემსახურება, მეორე მხარე სწორედ პოლიტიკური მიზნებისთვის ცდილობს მის გამოყენებას.

სხვა ვერაფრით აიხსნება, მაგალითად ის, რომ ოლიმპიადის ერთ-ერთ მეჩირაღდნედ რუსეთმა შეარჩია „2008 წლის აგვისტოს ომის გმირი მფრინავი“. ცხადია, ყველა სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა თავად აირჩიოს გმირები, მაგრამ ასევე ცხადია, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოწესრიგების მსურველი ქვეყანა ასე გამომწვევად არ მოიქცევა.

საქართველოს მთავრობის ყურადღების მიღმა არც ის რჩება, რომ სოჭის ოლიმპიადასა და საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით მწვავდება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

საქართველოს მთავრობა ამ კუთხით ინტენსიურად მუშაობს საერთაშორისო საზოგადოებასთან – პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამავე დროს საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ერთგულია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების არჩეული თანამიმდევრული კურსისა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ დღეიდან განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდებით სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო ღონისძიებებს. თუ საქართველო საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ხდება სპორტული თამაშების ზედმეტი პოლიტიზაცია და მისი მიზანმიმართული გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნისა და მისი მოქალაქეების ღირსებისა და ინტერესების დასაცავად შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მესვეურები და ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების მთავრობები სათანადო ყურადღებას დაუთმობენ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მოვლენის წინ

„არგენტინის სახლის“ თავმჯდომარე პელეს ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს

„არგენტინის სახლის“ თავმჯდომარე საქართველოში ნიკოლოზ პატარქალიშვილი პელეს ჩამოსვლასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, საქართველოში 26 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას ურუგვაის, არგენტინის, ბრაზილიის და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები მიიღებენ და ის მსოფლიო ფეხბურთის 150 და ქართული ფეხბურთის 110 წლისთავს მიეძღვნება.

მისივე განმარტებით, ტურნირის ჩატარებასთან დაკავშირებით მზადყოფნა გამოთქვა სამივე ქვეყანამ, თუმცა ქართული მხრიდან ჯერჯერობით პასუხი მიღებული არ არის.

– ამ ტურნირის ფარგლებში ჩვენ გვსურს საქართველოში ჩამოვიყვანოთ ფეხბურთის მეფე პელე, რომლის ვიზიტიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. რაც შეეხება ტურნირს, მისი ჩატარება ხელს შეუწყობს საქართველოში ტურისტების ჩამოსვლასაც. მთავრობის კანცელარიას მივმართეთ თხოვნით, რათა ამ ტურნირის მოწყობაში დაგვხმარებოდნენ, თუმცა ჯერჯერობით მათგან კონკრეტული პასუხი არ მიგვიღია. ჩვენ ვითხოვთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას, რადგან ვფიქრობთ, რომ ინფორმაცია პრემიერის ყურამდე არ მისულა, თორემ ასეთი მასშტაბური პროექტის მხარდაჭერაზე უარს არ იტყოდა, – აღნიშნა ნიკოლოზ პატარქალიშვილმა.

გუშინდელ პრესკონფერენციას ესწრებოდა პედრო კაბრალ დე სილვა ჯუნიორსიც, რომელიც არის არგენტინული მხარის წარმომადგენელი. მისი თქმით, პელეს მხრიდან, მიუხედავად მისი გადატვირთული გრაფიკისა, გამოთქმულია მზადყოფნა, რომ იგი ჩამოვიდეს საქართველოში, თუმცა ამისთვის სჭირდებათ თანადგომა.

გიორგი ზოთაძე

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„ზოგს გაუჩნდა პაწა შური, რომ დიდია პატაშური“

წლევანდელი „თბილისობა“, ჭეშმარიტად, საზეიმოდ მოამთავრა ჩვენმა გამოჩენილმა ფერმწერმა ილია პატაშურმა. მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა კვირა ნაშუადღევს გაიხსნა რუსთაველის გამზირზე, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დარბაზში და, ერთი-მეორეზე უკეთესმა ორმოცდათხუთმეტმა ნახატმა, ნათელი მომოაფინა ირგვლივ.

— ეს არის ილო პატაშურის ნიჭიერების სიხასხასე, ეს არის ფერთა ზეიმი, ფერთა შეკონება, როგორც გალაკტიონი იტყოდა... ეს არის ხელოვანის დიდი მიღწევა და წინსვლა... აქ დოსტოევსკის სიტყვებიც შეიძლება გაახსენდეს დამთვალიერებელს: „მშვენიერება გადაარჩენს სამყაროს“...

ეს ფრაზები ეკუთვნით ჩვენს გამოჩენილ ხელოვნებათმცოდნეებს, მწერლებს, რომლებიც ვერნისაჟზე გამოსვლისას დიდ სითბოსა და სიყვარულს ავლენდნენ ილო პატაშურისადმი, რომლის პიროვნება ისეთივე ნათელია, როგორც მისი შემოქმედება.

გაივსო მუზეუმის საგამოფენო დარბაზები ილიას ნაცნობ-მეგობრებით, ფერწერის მოყვარულებით... რა გასაკვირია, ალბათ, „ზოგს გაუჩნდა პაწა შური, რომ დიდია პატაშური“. ებაასებოდა მათ მხატვარი, ცხადია, ცოტა აღელვებული, მოკრძალებულღიმილიანი და ეს დიდ სამომავლო ენერგიას მატებდა.

აქ იყვნენ ჩოხოსანი რაინდებიც გოგი დოლიძის თავკაცობით და „მრავალჟამიერიც“ დააგუგუნეს, რითაც მეტი ლაზათი შემატეს სასიამოვნო გარემოს.

მთები, მთები გვიხმობს!

მთამსვლელობა თვით ბუნებამ უკარნახა ქართველ კაცს. ჩვენი მიწის 70 პროცენტი ხომ მთიანია. ჰოდა, მთამსვლელობა, გინდა, არ გინდა, ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი ჩვენს მამა-პაპას. მთამსვლელობამ შექმნა ალპინიზმიც, ალპინიზმმა კი უამრავი „კლდის ვეფხვი“ დაბადა (რა თქმა უნდა, მიხეილ ხერგიანთან შეუდარებელი). გასულ შაბათ-კვირას შემთხვევით შევხვდი ცნობილ ჟურნალისტს, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, მთამსვლელს, ქართული ალპინიზმის ფუძემდებელ — ჯაფარიძეთა ღირსეულ შთამომავალს ივანე ჯაფარიძეს, რომლისგანაც შევიტყვე, რომ აგერ, ერთი თვის წინათ, ქართულ ალპინიზმს 90 წელი შესრულებია.

— აღვნიშნოთ ეგ თარიღი, მოდი, რაიმე მიამბე-მეთქი, ვუთხარი ძველ მეგობარს და მანაც, მეტის დრო რომ არ იყო, ძალიან მოკლედ „მშრალი ინფორმაცია“ მომაწოდა.

ქართული და საბჭოთა ალპინიზმი იწყება 1923 წლიდან, როცა უნივერსიტეტის პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით ზედიზედ ორი ასვლა განხორციელდა მყინვარწვერზე. ქართველმა მთამსვლელებმა თავიდანვე განსაზღვრეს მთამსვლელობის არსი და იგი ორი მიმართულებით — სპორტული და მეცნიერული — განავითარეს.

1923 წლის 28 აგვისტოს, გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, ექსპედიციამ (გამყოლი იაგორ კაზალიკაშვილი) 18 კაცის შემადგენლობით, რომელთაგან 5 ქალი იყო: მარო ტყავაძე, მარო ბეჟანიშვილი, ასმათ ნიკოლაიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე და ლიდუსი ჩხეიძე, სპორტული ასვლა განახორციელა მყინვარწვერზე. უნივერსიტეტის პროფესორისა და გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით (გამყოლი გახა წიკლაური) კი — 1923 წლის 3 სექტემბერს მყინვარწვერზე ავიდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იყო ერთადერთი ქალი — ალექსანდრა ჯაფარიძე (შემდეგ სპორტის დამსახურებული ოსტატი).

ამ ორმა ასვლამ დაუდო სათავე ქართულ ალპინიზმს. მანამდე, კავკასიონის მწვერვალებზე ასვლის ჰეგემონია ევროპელებს ჰქონდათ: ინგლისელები დუგლას ფრეშფილდი (ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი) და ჯონ კოკინი, ავსტრიელი გოტფრიდ მერცბახერი, რომელმაც კავკასიონის მწვერვალთა აღწერილობას სოლიდური მონოგრაფია უძღვნა, გერმანელი ადოლფ შულცე, შვეიცარიელი ულრიხ ალმერი და სხვ.

მყინვარწვერზე პირველმა ორმა ასვლამ ქართველ ახალგაზრდებში მთამსვლელობას დიდი ავტორიტეტი მოუპოვა და პრესტიჟული გახადა. იქმნებოდა ალპინისტური სექციები და ორგანიზაციები. 1924 წელს დაარსებულ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში, ცალკე ჩამოყალიბდა „მთასვლა-მგზავროსნობის“ განყოფილება, რომლის ხელმძღვანელად გიორგი ნიკოლაძე დაინიშნა, ხოლო 1926-28 წლებში, მისი საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში, ამ პოსტზე იგი სიმონ ჯაფარიძემ შეცვალა. შეიქმნა აგრეთვე „პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება“ („პტეს“). ამ ორგანიზაციის წევრებმა არაერთი ასვლა განახორციელეს კავკასიონის მწვერვალებზე. ახალგაზრდები გატაცებითა და ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ ამ ლაშქრობებში. ყოველი ასვლის შემდეგ, ახალი სახელები ემატებოდა ქართულ ალპინიზმს. სიმონ ჯაფარიძე, ატო აღნიაშვილი, არჩილ ბენაშვილი, გიტო გიორგიძე, ლევან მარუაშვილი, შოთა და დევი მიქელაძეები უკვე თვითონ ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა ასვლებს კავკასიონის მწვერვალებზე.

1926-28 წლებში, კავკასიონზე ყველა მნიშვნელოვანი ასვლის სულისჩამდგმელად და ორგანიზატორად სიმონ ჯაფარიძე გვევლინება, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით საფუძველი ეყრება საქართველოს მაღალმთიანეთის მეცნიერულ შესწავლას და კავკასიონის მწვერვალებზე მასობრივ ასვლებს.



1927 წელს, იგი, დასთან — ალექსანდრასთან, მოხევეებთან გახა წიკლაურთან და იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად, სრულიად ახალი გზით — გერგეტის მყინვარის გავლით (ამ გზას „სიმონ ჯაფარიძის“ გზა ეწოდება) ადის მყინვარწვერზე და მწვერვალზე მეტეოროლოგიურ ჯიხურს დგამს, რომელშიც თვითმწერ მეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს ათავსებს ამინდზე დაკვირვებისათვის. ერთი კვირის შემდეგ, იგი, კვლავ ადის მყინვარწვერზე ავტომატური ჩანაწერის მოსახსნელად. იმ დროისათვის, ასეთ სიმაღლეზე, ეს იყო მსოფლიოში პირველი ავტომატური ჩანაწერი და ამ ფაქტს დიდი საერთაშორისო გამოხმაურება ჰქონდა. მწვერვალიდან მოხსნილი დიაგრამა პარიზში, მსოფლიო მიღწევათა გამოფენაზე გაიგზავნა, ხოლო კვლევის შედეგები ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალში დაიბეჭდა.

1928 წელს, სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, მყინვარწვერზე მოეწყო პირველი რადიო და კინოექსპედიცია 41 კაცის შემადგენლობით, მათ შორის 7 ქალი იყო. მთამსვლელობის ისტორიაში პირველად, მწვერვალზე ორი კინოაპარატი ამუშავდა და რეჟისორ ნ. ლებედევის ხელმძღვანელობით გადაიღეს ფილმი „კავკასიის კარიბჭე“ („ვრატა კავკაზა“), რაც უნიკალური მოვლენა იყო. აქედან ჩაეყარა საფუძველი მასობრივ ალპინიზმს.

რამდენიმე მწვერვალზე ასვლით მიღებული „გამოცდილების“ მიუხედავად, პირველი ტრაგედია კავკასიონზე 1929 წელს დატრიალდა. თეთნულდზე ასვლის დროს დაიღუპნენ სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი, გადარჩა მხოლოდ ექსპედიციის ხელმძღვანელი გიორგი ნიკოლაძე.

ამ ტრაგედიამ, თითქოს, ახალი სული შთაბერა მთამსვლელობას საქართველოში. თეთნულდს შეუტიეს უცხოელმა თუ ქართველმა მთამსვლელებმა. მოვიდა ახალი თაობა, გაჩნდა ახალი სახელები.

ახლა აქ ძნელია, ჩამოითვალოს ის საოცარი ასვლები სხვადასხვა მწვერვალზე, უამრავი ტრაგედიები, მთებში დაღუპულთა გვარ-სახელები. ყველა მათგანმა დიდებული ფურცელი შემატა ქართულ მთამსვლელობის ისტორიას.

მთამსვლელობა განსაკუთრებული გატაცებაა, განსაკუთრებული სპორტია. სასიამოვნოა, რომ დღესაც ბევრი ქართველი ახალგაზრდა აგრძელებს რა წინაპართა ტრადიციას, რუსთაველზე სეირნობას, მთებთან შერკინებას არჩევს. მშვიდობიანი, გამარჯვებების მომტანი ყოფილიყოს მათთვის ყოველი შერკინება!

ჩვენს სკოლებში შემოფრინდა „ციცინათელა“

„თბილისობის“ მოვლენებმა გადაფარეს, თუ რა იყო, საკმაოდ მოკრძალებული გამოდგა „მასწავლებლის დღე“. მე პირადად, შემთხვევით გავიგე — უკვე პოპულარული საბავშვო ალმანახ „ციცინათელას“ რედაქტორ-გამომცემელმა აპაპი ბრეგაძემ ტრადიციულად „მიწილადა“ „ციცინათელას“ ახალი ნომერი და თან დააყოლა, მასწავლებლის დღისთვის მოვასწარით გამოცემაო.

ამ სასწავლო წლის პირველი ნომერი კი, მასწავლებლებსაც რომ ესიამოვნებათ და მოსწავლეებსაც, სწორედ ისეთი გამოუცია ჩვენს აკაკის. აქ, როგორც ყოველთვის, ახლაც ერთიმეორეზე უკეთეს, უპირველესად, მოსწავლეთათვის საჭირო და საინტერესო მასალებს ნახავთ. თქვენს ყურადღებას მიიქცევს ნორჩი მხატვრების შემოქმედებაც.

დამოუკიდებელი საბავშვო ალმანახი „ციცინათელა“ უკვე 1995 წლი-

დან გამოდის. ცნობილმა ჟურნალისტმა, გამომცემელმა, რუსული კლასიკური მწერლობის უზადო მთარგმნელმა აკაკი ბრეგაძემ თავიდანვე მოუნახა „გასაღები“ ახალი დროის ქროლვას. სახელმწიფო საბავშვო ჟურნალ-გაზეთები უკვე ველარ გამოდიოდა, ჰოდა, ბავშვების სიყვარულმა, თავის დროზე გამომცემლობა „ნაკადულში“მოღვაწეობამ გადააწყვეტინა, თუ ყოველღიურს ვერ გასწვდებოდა, თვეში ერთხელ მაინც ალმანახი მიეწოდებინა ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის. დაიხმარა ოჯახის წევრები, გამოსცეს ალმანახი და დაარქვეს „ციცინათელა“, რომელიც უმალ გახდა პოპულარული ჩვენს სკოლებში (გამოცემაზე ხომ წვალობს და ჯახირობს, სკოლებსაც თვითონ აწვდის აკაკი ახალგამოსულ ნომერს).

მონდომებით, ნიჭითა და უნარით ისიც გახდა შესაძლებელი, რომ „ციცინათელა“ სერიით „საკითხავნი ყმაწვილთათვის“ გამოსცემს საბავშვო კრებულების 30-ტომეულს.

კეთილი ჩანაფიქრები, ისეთი, ჩვენს მოსწავლეებს რომ დააინტერესებთ, იცოცხლეთ, კვლავაც აქვს აკაკი ბრეგაძესა და მის „გამომცემლობას“.

ვილენ მარდალეიშვილი

ვენერა (ნაზი), ლია რუსიძეები, ალექსანდრე ფოცხიშვილი, მამია ტუღუში ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ იასონის ასული კეჭაღმაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვილის ოჯახს. დაკრძალვა 10 X, ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში.

◎ ინფორმაცია

მოწყობილობა არ აღმოჩნდა

თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ფრანგულ კოლეჯში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა. როგორც „ინტერპრესნიუსს„ შს სამინისტროდან აცნობეს , ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინება იყო შესული.

უსაფრთხოების გამო გამოცხადდა ევაკუაცია და სწავლის პროცესი შეჩერდა.

ოქროს და ვერცხლის ნაკეთობები შემოჰქონდათ

„სადახლოს“ საბაჟო გამშვებ პუნქტზე მოქალაქეს ოქროს ნაკეთობები კანონის გვერდის ავლით შემოჰქონდა. როგორც შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს , 4 ოქტომბერს, „სადახლოს“ საბაჟო გამშვებ პუნქტზე, სომხეთის მხრიდან შემოვიდა რუსეთის მოქალაქე მ.ა., რომლის ბარგისა და ხელბარგის დათვალიერებისას აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები, კერძოდ: ბეჭედი — 14 ცალი, საყურე — 6 წყვილი და 1 ცალი, ძეწკვი კულონით — 3 ცალი, ჯვარი - 1 ცალი, კოლიე — 1 ცალი, საერთო ჯამური წონით — 156.86 გრ. არადეკლარირებული საქონლის სატარიფო ღირებულებამ შეადგინა 6456.8 ლარი.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული კანონდარღვევისათვის, მოქალაქე დაჯარიმდა და სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 6456.8ლარი.

არადეკლარირებული ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს სარფის საბაჟოზეც ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან შემოვიდა სატვირთო ავტომობილი, რომელსაც თურქეთის მოქალაქე ი. ა. მართავდა.

დათვალიერებისას, ავტომობილის სალონში აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული ვერცხლის ნაკეთობები, საერთო წონით 37კგ. საქონლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 32635,21 ლარი.

ინციდენტი „ნიკალაში“

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა რესტორან „ნიკალაში“ მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირი, 1956 წელს დაბადებული იოსებ ჯავაშვილი წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან ატყობინებენ, დაკავებულმა მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს, სიღნაღში, რესტორანში დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და რესტორნის მფლობელს ლია ბოსტოღანაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

შსს-ს დაცვის პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა დროული რეაგირება მოახდინა და სიტუაცია ადგილზევე განმუხტა. მომხდართან დაკავშირებით რესტორნის მეპატრონეს პოლიციისთვის არ მიუმართავს.

სამართალდამცველებმა იოსებ ჯავაშვილი წვრილმანი ხულიგნობის ფაქტზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დააკავეს.

ინტერპრესი

დაიჯესტი

ნეტავ იმ ბატონს, მონა ლიზას...



თქვენი აზრით, ფოტოზე გამოსახულთაგან ვინ უფრო მეტად ჰგავს ლეონარდო და ვინჩის საქვეყნოდ ცნობილ „მონა ლიზას“? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სცადა გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდ ბრიტანეთში გამართული კონკურსის მეტად მომთხოვნმა ჟიურიმ.

თუკი თქვენ შეძელით პირველ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა, მეორე შეკითხვა მასზე უფრო ძნელი იქნება: ექვსი მონაწილიდან ვინ უფრო მეტად განსხვავდება სხვებისგან თავის ფიზიკური „პარამეტრებით“?

მაშ, ასე: გამარჯვებულად ჟიურიმ სცნო... ახალგაზრდა ინგლისელი მამაკაცი (ფოტოზე მას ხელში „ჯოკონდა“ უჭირავს). თათბირის შემდეგ ჟიურის წევრებმა ეს გარემოება რამდენადმე უხერხულად მიიჩნიეს და პირველი პრიზი იმ მონაწილე ქალიშვილს მიაკუთვნეს, რომელიც ფოტოზე ჩარჩოშია.

მაშინ ვარაუდობდნენ, რომ ეს კონკურსი „ჯოკონდას“ საიდუმლოებასთან ოდნავ ახლოს მაინც მიიყვანდა ხელოვნებათმცოდნეებს, რომლებიც მის ამოხსნას არაერთი ასწლეულია ამაოდ ცდილობენ, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს მოლოდინი არ გამართლდა.

ნემსიყლაპიები, თაფლა ჭიანჭველები და სხვები

დედამიწის ყველა კუთხეში, ყველა ქვეყნის ნებისმიერ მხარეში ხალხს თითო მაინც, მაგრამ სხვებისგან დიდად განსხვავებული კერძი რომ აქვს, ყველამ კარგად ვიცით. მათ შორის, ცხადია, საყოველთაოდ მიღებულებიც არის და, რაღა თქმა უნდა, გამორჩეულად ეგზოტიკურებიც.

მაგალითად, ვის დაუგემოვნებია... შემწვარი ნემსიყლაპიები? არადა, სწორედ ფრთებდაგლეჯილი მწერებისგან ინდონეზიის კუნძულ ბალის მცხოვრებნი ნაირ-ნაირ კერძებს ამზადებენ: შემწვარსაც მიირთმევენ, ქოქოსის რძეშიც ხარშავენ, მერე კი ყვითელი კოჭათი და ნივრით კმაზავენ. მეტიც: ნემსიყლაპიებს ქოქოსის ზეთზე წვავენ, შაქარს აყრიან და თავისებურ საწუწნ „კანფეტს“ ამზადებენ.

სხვათა შორის, ნემსიყლაპიებს საათში 60 კილომეტრის სიჩქარით ფრენა შეუძლიათ, ასე რომ, ისინი ჭეშმარიტად „სწრაფი კვების“ პროდუქტს წარმოადგენენ. მათი დაჭერა არცთუ ადვილია, ამიტომ საამისოდ ხის წებოვან წვენში ამოვლებულ ჩხირებს იყენებენ. მთავარი სიძნელე კი ამ ჯოხით ნემსიყლაპიასთან მიპარვაა...

მექსიკაში, კოლუმბიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში კი ხალხი დიდი სიამოვნებით მიირთმევს ჭიანჭველებს, რომლებიც კალიების შემდეგ დედამიწაზე ყველაზე პოპულარული საკვები მწერები არიან. კოლუმბიაში შემწვარ ჭიანჭველებს სულაც კინოთეატრებში ბატიბუტივით ყიდიან! იქ განსაკუთრებით კვერცხებიანი მდედრები უყვართ, რომლებსაც წვიმიან დღეებში იჭერენ, როცა წყალი ბუდეებში შედის და ისინი გარეთ თავისით გამოდიან.

ჭიანჭველებს ყველაზე მარტივად სოფლებში ამზადებენ — ფოთლებში გახვეულებს ცეცხლზე ოდნავ ბრაწავენ, რის შემდეგ ამ ხრაშუნა, ნიგვზის გემოს მსგავსი მოტკბო მისაყოლებელს სიამოვნებით მიირთმევენ.

მაგრამ, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, ყველაზე გემრიელი მაინც ავსტრალიური ეგრეთ წოდებული „თაფლა ჭიანჭველებია“. ისინი ტკბილი ნექტრით იკვებებიან, რომელიც მუცლის გაბერილი ჩიჩაყვებით გადააქვთ. ეს გამჭვირვალე ბუშტები კი ავსტრალიელ აბორიგენებში უპირველესი ნუგბარია. გარდა ამისა, თაფლა ჭიანჭველების ორი ნაირსახეობა სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ ამერიკის ნახევარუდაბნოებში ბინადრობს.

იარაღი ლოცვების წიგნში

ვენეციის დოჟი ფრანჩესკო მორზინი (1618-1694 წ.წ.), რომელსაც ვერაგი მტრის თავდასხმის გამუდმებული შიში ჰქონდა, მუდამ იარაღს ატარებდა.



რათა ეკლესიაში იგი მომხდურებს უცებ არ მოეხელთებინათ, დოჟმა ერთ-ერთი თავისი პისტოლეტის ლოცვათა წიგნში დამალვა ბრძანა. წიგნის „ჩასადები“, რომელსაც თავი გამოყოფილი ჰქონდა, ჩახმახზე იყო მიმაგრებული. ამჟამად ფრანჩესკო მორზინის ეს საიდუმლო იარაღი ვენეციის ერთ-ერთ მუზეუმშია დაცული.

რეკორდსმენი ავაზა

ცოტა ხნის წინათ ჟენევაში გამართულ აუქციონზე მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ბრილიანტი გაიყიდა. „ქალიშვილების საუკეთესო მეგობართაგან“ ეს რჩეული პატიოსანი თვალი 24,78 კარატს იწონის.

ეს უნიკალური ვარდისფერი ბრილიანტი პირველად 60 წლის წინათ გაიყიდა და იგი ჰარი უინსტონმა, ცნობილი ამერიკული საიუველირო ფირმის დამაარსებელმა შეიძინა. როგორც ჩანს, ბრილიანტის გაყიდვის მიზეზი კრიზისი და მას მოყოლილი ფინანსური პრობლემები გახდა. „სოთბის“ საუქციონო სახლმა ამ ვერცხლის ბეჭედში ჩასმული და თეთრი ბრილიანტებით გაწყობილი „ვარდისფერი ავაზის“ ფასი 27 მილიონ დოლარამდე აიყვანა! მანამდე ყველაზე ძვირფასი ბრილიანტი 24,3 მილიონ დოლარად გაიყიდა.

პოეტის შთამომავალი

ჰერცოგინია ალექსანდრა აბერკორნმა თავისი წინაპრის პუშკინის სახელი ჩრდილოეთ და სამხრეთ ირლანდიის ბავშვთა გასაერთიანებლად გამოიყენა.

ქალბატონი აბერკორნი დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის შთამომავალია, მისი უმცროსი ქალიშვილის ნატალიას ხაზით. იგი გაიზარდა და სწავლობდა ინგლისში, შემდეგ კი ირლანდიაში გათხოვდა, მაგრამ თავს რუსად მიიჩნევს. ჰერცოგინია ალექსანდრა აბერკორნი საზოგადოებრივი საქმიანობითაა დაკავებული, მისი ძირითადი მოწოდება კი ქველმოქმედებაა.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვაზეთებიდან

„დასავლეთმა ივანიშვილს ნაციონალების დაპატიმრება აუკრძალა“

— ამბობს ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, — ხომ ხედავთ, მათ შაბათს საღამოს სპორტის სასახლეში თავის მცირეოდენ მხარდამჭერებს შეახსენეს, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. ეს კი, ჩემი აზრით, ხელისუფლების უუნარობის ბრალია, რადგან დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიიყვანეს და ყველაფერს თავისი სახელი არ დაარქვეს. თუმცა, რაც უნდა მხარი დაუჭიროს ნაციონალებს დასავლეთმა, ისინი ვეღარ გაცოცხლდებიან, მათი რეანიმაცია შეუძლებელია.

„რეზონანსი“

სოციალურად დაუცველთათვის მიკროავტობუსებით მგზავრობის ფასი განახევრდება

თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ფრაქცია „დედაქალაქის“ თავმჯდომარე კოკი იონათამიშვილი გვიამბობს: — „ერთი კარგი, განსაკუთრებით კი სოციალური პრობლემების მქონე ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ. ალბათ იცით, რომ სამარშრუტო ტაქსები თავიდან ბოლომდე კერძო კომპანიების ხელშია. მიუხედავად ამისა, დედაქალაქის მერია ერთ სოციალურ პროგრამას ამუშავებდა, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო შეწყვიტა და ახლა შეიძლება კვლავ აღდგეს. საქმე ეხება იმას, რომ 70 ათასზე ნაკლები ქულის მქონე ადამიანებს საშუალება ჰქონდეთ, სამარშრუტო ტაქსებში ნახევარ ფასად იმგზავრონ, ისეთი სქემაა მოფიქრებული, რომ არც კერძო კომპანია დაზარალდეს და სოციალურად დაუცველმა ოჯახებმაც შეღავათი მიიღონ.

„რეზონანსი“

„27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდება“

— დარწმუნებულია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, — დავით ბაქრაძის 22-პროცენტიანი მხარდაჭერა ისეთი აბსურდულია, რომ ლაპარაკიც აღარ ღირს! დამისახელონ ერთი ქალაქი, ქუჩა, სადაც ბაქრაძეს 22 პროცენტი უჭერს მხარს და მე იქ ტელეკამერებით მივალ იმის გასარკვევად, ვის უნდა ბაქრაძე პრეზიდენტად... ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდება. საზოგადოებას წინასწარ ამზადებენ გაყალბებული შედეგისთვის — მარგველაშვილი პირველ ადგილზე, ბაქრაძე კი მეორეზე უნდა გაიყვანონ, რადგან იმისთვის, რომ ლეგიტიმური პრეზიდენტი იყოს, აუცილებელია, მისი გამარჯვება მეორე ადგილზე გასულმა კანდიდატმა აღიაროს. ბაქრაძემ კი ოღონდ მეორე ადგილზე გავიდეს და აღიარებს მარგველაშვილის გამარჯვებას.

„ასავალ-დასავალი“

ვინ ჩაუშალა სააკაშვილს სისხლიანი გეგმა?

„ძრონიკას“ სანდო წყაროებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ დვანისა და დიცში, რუსი მესაზღვრეების მიერ საზღვრების გადმოწევას რა ამბებიც მოჰყვა, ეს ყველაფერი უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის, გიგა ბოკერიას და ამ უკანასკნელის გუნდის წევრების მიერ დადგმული სპექტაკლი იყო, რაც მეტად ვერაგულ მიზანს ემსახურებოდა. მათი გეგმით, დიცისა და დვანის ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობების წარმომადგენლები, კონფლიქტში უნდა შესულიყვნენ რუს მესაზღვრეებთან. საკმარისი იყო მცირე კონფლიქტი, რომ რუსები ქართველებს ცეცხლს გაუხსნიდნენ. სააკაშვილი გამოაცხადებდა საგანგებო მდგომარეობას და გადასწევდა არჩევნებს. საბოლოოდ, სააკაშვილის გეგმა ჩაიშალა. უცნობმა „ფე-ეს-ბეს“ გენერალმა ფული აიღო, მაგრამ სისხლიანი კონფლიქტი არ განხორციელდა და სააკაშვილი „გადააგდო“.

„ძრონიკა“

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

— გამარჯობა, მიხო! როგორა ხარ?
— გაგიმარჯოს, მარო წავიდა ჩემგან.
— არა უშავს, იყიდე ერთი ბოთლი არაყი და ჩაახრჩე დარდი...
— არ გამოვა.
— რატომ? ფული არა გაქვს?
— ფული კი მაქვს, მაგრამ დარდი არა მაქვს...

* * *

ჯანდაბას, კომუნიზმზე უარი ვთქვით, მაგრამ „პატარა ზაფხულს“ რას ვერჩოდით?!

* * *

ისტორიის ფურცელი. შუა საუკუნეებში კონტრაცეპციის ერთადერთი საშუალება იყო ფრაზა — „ტიფიანი ვარ“.

* * *

მივიღე მილოცვა ყოველივე კარგის, თბილისა და წმინდის სიყვარულით! კარგისთვის, ცხადია, მადლობა, მაგრამ თბილი და წმინდა თქვენ დალიეთ, მე კი მუქი და ცივი მირჩევნია.

* * *

განათლების ბოლონიური სისტემა — ეს ისაა, როცა ნებისმიერი ბალონკა შენზე ჭკვიანია.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24